ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 7 აპრილი, 2020 | №81 (8345) | ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე სასამართლო განაჩენს 13 აპრილს გამოაცხადებს

გვ.5

„დღეს გახარია ქვეყანას ივანიშვილის გარეშე მართავს“

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია ძველ რეიტინგს ვერ დაიბრუნებს“

მამუკა გამყრელიძე: „მასობრივი ტესტირება სისულელეა“

გვ.2

„სულ არ მეშინია, ამ აზრის გამო ნაციონალები თუ გამაკრიტიკებენ“

დიმიტრი შაშკინი: „განათლების სამინისტრო თავის ფუნქციას ვერ ასრულებს“

გვ.3

ეროვნულ გამოცდებს ამ ეტაპზე არანაირი საფრთხე არ ემუქრება

გვ.3

შოთა მალაშხია: „მთავრობამ სააკაშვილს ვერაფერი უპასუხა და ტროლები გააქტიურა“

„ის, ვინც ეკონომიკას კრიზისამდე ღუპავდა, მას ვერც ახლა ააღორძინებს“



გვ.2

პაატა იმნაძე: „ნუ მიხვალთ ეკლესიაში სალოცავად, ილოცეთ სახლში“

„ოპოზიციას სურს, მოქალაქეები ერთდროულად ჩამოიყვანოს და ხელისუფლებას ქაოსი შეუქმნას“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 კორონავირუსით ეროვნული ბანკის 16 თანამშრომელია ინფიცირებული

4 ხორცი გაძვირდა 14.7%-ით, ბოსტნეული — 12.5%-ით; რძე, ყველი და კვერცხი — 18.9%-ით

5 საქართველოში თანამდებობის პირებისთვის სპეციალური ციხე აღარ იარსებებს

6 მოსკოვში 3 მართლმადიდებელ მღვდელს კორონავირუსი დაუდგინდა

მამუკა გამყრელიძე: „მასობრივი ტესტირება სისულელეა“

„სულ არ მეშინია, ამ აზრის გამო ნაციონალები თუ გამაკრიტიკებენ“

ნონა ცაბაძე

საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას? ხელისუფლების მისამართით მაინც ისმის კრიტიკა. რა შეცდომებს უშვებს გახარიას გუნდი?

– სიმართლე გითხრათ, მე განსაკუთრებულ შეცდომებს ვერ ვხედავ. მთავარ, ჯანდაცვის პრობლემას საკმაოდ კარგად გაართვეს თავი. არავინ ვართ შორს იმისგან, რომ ელემენტარული პრობლემები ყოველთვის იქნება, თუმცა, ის მთავარი მომენტი, რომელიც ჯანდაცვას სჭირდება, რომ მაქსიმალურად გაწელილიყო პიკის პროცესი, ჯერჯერობით შეძლეს. აფეთქება და დიდი დატვირთვის მიღება სამედიცინო დაწესებულებებზე არ მოხდა. ნელ-ნელა იზრდება და ამასობაში გამოჯანმრთელებასაც ასწრებს ხალხი, რაც კარგია.

მოხდა ხალხის გადამზადებაც, ასევე საკარანტინო ზონებისთვის, რითიც დატვირთეს სასტუმროები. ამანაც გარკვეული შეღავათი მისცა სასტუმროებს, რომ ამოისუნთქონ. მოკლედ, ჯერჯერობით ყველაფერს აკეთებენ.

– თუმცა საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა და ძალიან მალე ეკონომიკური პრობლემები დაიწყება.

– ეს უკვე მეორე საკითხია, თუმცა ჯერ დაწყებულ საკითხს დავამთავრებ. ტესტირებებზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და დავობენ. ესეც ძალიან საფრთხილო საკითხია. არსებობს საქართველოს ეროვნული გენეტიკური ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელმაც ღიად განაცხადა, რომ აქვს ძალიან ბევრი ტესტი, მაგრამ მათი ფასი არის 620 ლარი და შეუძლია, ეს ტესტები მისცეს სახელმწიფოს.

რაც შეეხება სწრაფ ტესტებს, ითქვა, რომ მათი სიზუსტე 50-50/-ზეა და რანაირად შეიძლება ვენდოთ. მასობრივმა ტესტირებამ ზოგიერთ ქვეყანაში უკუშედეგი გამოიღო და, პირიქით, დაავადებულთა რიცხვი გაიზარდა. უნდა მოხდეს ტესტირება მხოლოდ იმ ხალხის, ვისაც გამოაჩნდა სიმპტომატიკა და ასევე უნდა მოხდეს რისკჯგუფების ტესტირება. ამათი ტესტირება ნორმალური იქნება და სახელმწიფო რაღაცნაირად შეძლებს ამის ატანას ეკონომიკურადაც და ლოჯისტიკურადაც. მასობრივი ტესტირება კი სისულელეა.

– ოპოზიცია აქტიურად მოითხოვს ჩვენი მოქალაქეების დაბრუნებას სხვადასხვა ქვეყნიდან. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ამაზეც ერთი ამბავია ატეხილი. ხელისუფლება კი, შეხედეთ, რას აკეთებს, ნელ-ნელა ჩამოჰყავს, არ ჩამოჰყავს ერთბაშად. ყველა ერთად რომ ჩამოიყვანონ, ამას როგორ გაუმკლავდეს სახელმწიფო? მათ იზოლაცია, შესაბამისი პირობები, გამოკვება სჭირდებათ.

– ბატონო მამუკა, ამ ყველაფრის შემდეგ, შესაძლოა, კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვეთ თქვენი თანამოაზრეების მხრიდან, რადგან ნაცმოძრაობა ითხოვს, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ დააბრუნოს 5 ათასი ემიგრანტი.

– თვითონ მიხეილ სააკაშვილი გამოდის უკრაინის ტელევიზიით და ამბობს, ხალხის სწრაფად ჩამოყვანა დიდ პრობლემებს შექმნის უკრაინაშიო. იქ თუ შექმნის პრობლემებს, აქაც იგივე პრობლემები შეიქმნება. რაც უნდათ, ის თქვან, საერთოდ არ მეშინია მაგათი კრიტიკის, ყელში ამოვიდნენ უკვე ამ კრიტიკით. მე ჩემს შეხედულებას გამოვხატავ.

საერთოდ, ასეა, უნდა გააკეთო ის, რისი თავიც გაქვს, რაც შეგიძლია. ადგე, გადახტე და ჩავარდე ორმოში, ეს ბევრად საშიშია. ამიტომ აკეთებენ იმდენს, რამდენიც შეუძლიათ. კი ბატონო, იმ ხალხისაც მესმის, მართლა უმუშევარია და ულუკმაპუროდ არის დარჩენილი. საელჩოებმა რაღაცნაირად უნდა შეძლონ მათთვის პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების მიწოდება, რომ იარსებონ იქ, სადაც არიან და ნელ-ნელა მოხდეს მათი გამოყვანა. ამ ხალხის ჩამოყვანა პრობლემა არ არის, გაგზავნი თვითმფრინავებს და ორ-სამ დღეში ჩამოიყვან ყველას, თუმცა მერე აქ იქმნება პრობლემები. ასევე იმისიც ეშინიათ, რომ აქ არ მოხდეს ვირუსის აფეთქება.

– ბატონო მამუკა, ეკონომიკური სიტუაცია როგორი იქნება?

– კორონავირუსის ჩამთავრების შემდეგ, ორ-სამ თვეში, დაიწყება უმძიმესი კრიზისი. ჩვენ აუცილებლად შევალთ ამ ეკონომიკურ დეპრესიაში, რომელიც იქნება ხანგრძლივი და ძალიან მძიმე. არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ასე იქნება. ამიტომ, ვინც არ უნდა იყოს მთავრობაში, მაინც ვერაფერს შეცვლის. ბრიტანელები და ამერიკელები ამბობენ, რომ 20-25%-ის ფარგლებში იქნება უმუშევრობა. წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა რიცხვია და ისედაც უმუშევარ საქართველოში რა შედეგებს მოიტანს?!

ასეთ პერიოდში სრული უზნეობა იყო ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან გამოსვლა და იმის თქმა, რომ ონლაინგაყიდვები უნდა შეჩერდეს. ეს უზნეობის პიკია!

– ონლაინგაყიდვები ნაწილობრივ დაუშვეს. თუკი შესაბამის პირობებში მოხდება ეს ყველაფერი, მაშინ მივცემთ უფლებასო.

– გესმით, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ვისაც მინდა, იმას მივცემ. ეს არის კორუფციის წყარო! მერე ვიღაცას მისცეს, ძალიან მარტივად ჩახსნიან კონკურენტებს. ხომ ნახეთ, რაც მოხდა, არც ერთი ელექტრომაღაზია არ მუშაობს, თუმცა კარფურში იყიდება იგივე ელექტრონაწარმი.

– იმის თქმა გინდათ, რომ პრივილეგირებული ჯგუფები გამოიკვეთება?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. ჩემს უბანში დგანან პოლიციელები და არაქსელურ მაღაზიებს ამოწმებენ. მე გეუბნებით იმას, რასაც ვაკეში ვხედავ ჩემი თვალით. მუდმივად დგანან ამ პატარა მაღაზიებთან და ამოწმებენ, რამდენი ადამიანი შედის. კი ბატონო, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ქსელურ მაღაზიებთან რატომ არავინ დგას?! არასდროს არავინ ამოწმებს. კიდევ კარგი, რომ ეს ქსელური მარკეტები თვითონ მუშაობენ ძალიან ზუსტად და კარგად, ყველა მითითებას იცავენ, თუმცა, პატარას რომ ამოწმებ, დიდიც შეამოწმე ხანდახან. ეს რას ნიშნავს, იცით?!

– რას?

– ყველაფრის გამსხვილება მოხდება. ეს საშინელი, მძიმე პროცესია. როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესს ძირითადი წნეხი დააწვება, მივიღებთ პრივილეგირებულ ჯგუფებს. ახლა ვიღაცა ხელის მოთბობას ცდილობს.

– კერძოდ, ვინ?

– ეკონომიკის სამინისტრო იქნება ეს თუ კონკრეტული დეპუტატები, ისინი შეეცდებიან თავიანთი პროტეჟეების უფრო მარტივ პირობებში ჩაყენებასა და ვიღაცების ჩახსნას.

იგივე ეხება სამშენებლო ბიზნესს. თავიდან ხომ თქვეს, სამშენებლო ბიზნესმა უნდა იმუშაოსო, მერე ვიღაცას მისცეს, ვიღაცას – არა. გამოდის, რომ კალაძე მიიღებს ამ პრივილეგიებს, ვიღაცა ვერ მიიღებს. მიმდინარეობს ისედაც მწირი ბაზრის გადანაწილება ვიღაცების სასარგებლოდ.

რბილად რომ ვთქვათ, ეს უზნეობაა! ახლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამშენებლო ბიზნესის გაჩერება. ასეთ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაა. საქართველოს ამის ფული არა აქვს. ახლა დაძრული უნდა იყოს მთელი მინისტრთა კაბინეტი, რომ სადღაც რაღაცა ფინანსურ ცენტრებში ფული მოიპოვონ, რომ შემოვიდეს ერთი-ორი მილიარდი დოლარი მაინც, რომ მერე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაასაქმონ ეს უმუშევარი ხალხი და მათ მისცენ საშუალება, ერთი-ორი კაპიკი სახლში მიიტანონ. თუ ეს არ მოხდება, ქართული ეკონომიკა განადგურდება.

– საარჩევნო წელია. რას ელოდებით?

– ჯერ საერთოდ არ ვიცით, არჩევნები იქნება თუ არა, იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება კარანტინი. თუ ასეთი ვითარება შემოდგომამდე გაგრძელდება, მაშინ საერთოდ რა არჩევნებზეა ლაპარაკი.

– ხელისუფლებას აწყობს არჩევნები და ოპოზიციას არ აწყობსო. ასეა?

– თუ შეძლეს სამედიცინო თვალსაზრისით, გაწელეს ეს პროცესი და არ დაუდგათ პიკი, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ძალიან დიდ პლუსში იქნება. მეორე საკითხია, თუ კორონავირუსი უკან დაიხევს და ეკონომიკური პრობლემები წამოვა წინ, მაშინ არ ვიცი, რა იქნება.

– ამ სიტუაციაში პროგნოზი რთულია?

– კი, რთულია. პიკი თუ გაწელეს და ვხედავთ, რომ წელავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვირუსი ზაფხულშიც გადავა. ეს პიკი გადაიწევს კიდევ ორი თვით და ასე მივალთ ზაფხულის ბოლომდე. ზაფხულის ბოლოს შეიძლება დამთავრდეს. ამიტომ ოპოზიცია ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ერთს ვიტყვი, ამ ვირუსმა საქართველოს მისცა უნიკალური შანსი, რომ ერი გაერთიანდეს. ეს ან უნდა გამოვიყენოთ, ან წყალში გადავყაროთ! ორივე მხრიდან მოძრაობაა საჭირო.

პაატა იმნაძე: „ნუ მიხვალთ ეკლესიაში სალოცავად, ილოცეთ სახლში“



– ნუ მიხვალთ ეკლესიაში სალოცავად, ილოცეთ სახლში. ეკლესიის კარი არ დაიკეტება, იქ იქნებიან მღვდლები, რომლებიც ილოცებენ ჩვენთვის, ჩვენ სახლში ვილოცოთ ერთმანეთისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის.

ასე მიმართა გუშინ, 6 აპრილს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძემ მოსახლეობას.

იმნაძემ სოციალური დისტანციის დაცვისა და სახლში დარჩენის აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ მთავრობის ადმინისტრაციაში, კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

– მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ნებისმიერი ჩვენი აკრძალვა, რჩევა იყოს საფრთხის ადეკვატური. ამავე დროს, მინდა, კარგად გავითავისოთ ყველამ, რომ ორი კვირის წინ რა რჩევებსაც ვიძლეოდით ყველა, იმის დაცვა ან არდაცვა ჩნდება დღეს.

დღეს ჩვენ რა რჩევებსაც ვიძლევით და რა აკრძალვებსაც ვამბობთ, ამის ეფექტი გამოჩნდება ორი კვირის შემდეგ, ანუ ჩვენ ყოველთვის დროს უნდა ვუსწრებდეთ ჩვენი აკრძალვებითა თუ რჩევებით.

აქედან გამომდინარე, მე მინდა, მივმართო მორწმუნე ქრისტიანებს, მრევლს, დავიცვათ ჩვენი დედაეკლესია, დავიცვათ მღვდელმთავრები ეკლესიაში არმისვლით, სახლში ლოცვით. დაიცავით არა მხოლოდ ამ ვირუსისგან, არამედ სხვა ვირუსებისგანაც.

დავიცვათ ჩვენი ეკლესია, ნუ მიხვალთ ეკლესიაში სალოცავად, ილოცეთ სახლში. ეკლესიის კარი არ დაიკეტება, იქ იქნებიან მღვდლები, რომლებიც ილოცებენ ჩვენთვის, ჩვენ სახლში ვილოცოთ ერთმანეთისა და ჩვენი ქვეყნისთვის, – განაცხადა იმნაძემ.

კორონავირუსით ეროვნული ბანკის 16 თანამშრომელია ინფიცირებული

ეროვნული ბანკის განცხადებით, კორონავირუსით ეროვნული ბანკის 16 თანამშრომელია ინფიცირებული.

„საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც ქვეყნის მთავარ ფინანსურ ინსტიტუტს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ნებისმიერ ვითარებაში, საფინანსო სექტორის გამართული ფუნქციონირებისა და ეკონომიკის ფულის ნიშნებით მომარაგების საქმეში.

სწორედ ამიტომ ბოლო წლებში ეროვნულ ბანკში აქტიურად მუშავდებოდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის (საქმიანობის) უწყვეტობის გეგმა. ასევე, შემუშავდა სისტემა პოტენციური რისკების შეფასებისა და მოვლენათა სხვადასხვა სცენარისთვის, რათა გართულებების პირობებშიც კი ბანკს ჰქონოდა სრული ოპერაციული მზაობა საქმიანობის შეუფერხებლად გასაგრძელებლად.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას ეროვნული ბანკის 7 თანამშრომელს კოვიდ-19-ით ინფიცირება დაუდასტურდა, დაუყოვნებლივ მოხდა აღნიშნულ პირებთან კონტაქტში მყოფი სხვა თანამშრომლების სიმპტომების კვლევა და ტესტირება. დღევანდელი მონაცემებით, ინფიცირებულთა რაოდენობა 16-ია.

ამჟამად კოვიდ-19 ვირუსის მქონე თანამშრომელი შესაბამის სტაციონარში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გადის მკურნალობას. მათი მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. ის თანამშრომლები, რომლებსაც შემხებლობა ჰქონდათ დაინფიცირებულ კოლეგებთან, სრულ იზოლაციაში იმყოფებიან და მათზე დაკვირვება მიმდინარეობს.

სასიხარულოა, რომ რამდენიმე მათგანს ტესტირების შედეგად კორონავირუსი არ დაუდასტურდა. კვლავ გრძელდება ეპიდემიოლოგიური კვლევა ინფიცირებული თანამშრომლების ყველა შესაძლო კონტაქტის დადგენა-გამოვლენის მიზნით.

ამჟამად თანამშრომელთა 90% დისტანციურად მუშაობს. ეროვნული ბანკის ყველა შენობაში რეგულარული სადეზინფექციო და დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს და ბანკის ოფისები ოპერირების საგანგებო რეჟიმზეა გადასული.

მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკი სრულყოფილად და შეუფერხებლად ასრულებს თავის ამოცანებს: ბანკებს მიეწოდებათ სათანადო რაოდენობის ფულის ნიშნები, საფინანსო სექტორი აგრძელებს გამართულ ფუნქციონირებას. გისურვებთ ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს. ერთობლივი ქმედებებით, პროფესიონალთა რეკომენდაციების დაცვით, ჩვენ სწრაფად შევძლებთ ვირუსის დამარცხებასა და საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში აღდგენას. #დარჩი შინ“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„სპარის“ თანამშრომლები ღამით მაღაზიების საწყობებში იძინებენ

სუპერმარკეტების ქსელმა „სპარმა“ საყოველთაო კარანტინის დროს სამუშაო საათები გაზარდა. კომპანია კომენდანტის საათის დროს, 21:00 საათიდან დილის 6 საათამდე, თანამშრომლებს მაღაზიებში ტოვებს და კვირის განმავლობაში 45 საათის ნაცვლად 60 საათს ამუშავებს.

კომპანიის ამ გადაწყვეტილებას მომხმარებელთა დიდი ნაწილის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა.

„სპარის“ დირექტორმა კი სოციალურ ქსელში საპასუხო განცხადება გაავრცელა. მირანდა მანჯგალაძის მტკიცებით, კომენდანტის საათმა დააყენა კომპანია საშიშროების წინაშე, რომ 700-ზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც ღამის ცვლაში მუშაობდნენ, სამსახური დაეკარგა.

მისი თქმით, მაღაზიებში თანამშრომლების დატოვებით ყველა მათგანს სამუშაო შეუნარჩუნდა.

„სპარის“ თანამშრომლები ამბობენ, რომ მათი უფლებები ირღვევა, თუმცა, მათი თქმით, ეს სამსახურია და დათმობებზე წასვლა უწევთ.

– როცა იკეტება მაღაზია, ვრჩებით და კომენდანტის საათის მერეც აქ ვართ. ჩვენი უფლებები ირღვევა, მაგრამ სამსახური ასეთია. საღამოს მოვდივართ, ვრჩებით და დილით ვიცვლებით. მერე ისევ მოვდივართ ღამით აქ, მაღაზიაში, საწყობში ვიძინებთ, – აცხადებენ „სპარის“ თანამშრომლები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი შაშკინი: „განათლების სამინისტრო თავის ფუნქციას ვერ ასრულებს“

ეროვნულ გამოცდებს ამ ეტაპზე არანაირი საფრთხე არ ემუქრება

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ ეს სემესტრი აუცილებლად შედგება და არავითარ შემთხვევაში არ ჩავარდება. მისივე თქმით, ფორმატის ან თარიღის ცვლილებები ამ ეტაპზე არც ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით იგეგმება.

განათლების სამინისტრომ ასეთი შინაარსის განცხადება თავიდანვე გააკეთა, მალევე კი პრემიერმა გიორგი გახარიამ სემესტრის აკადემიურად გამოცხადება არ გამორიცხა. მინისტრს არაფერი უთქვამს სტუდენტების საკითხზე. შესაბამისად, უცნობია, გაუკეთებენ თუ არა მათ გარკვეულ შეღავათებს გადასახადებთან დაკავშირებით.

არის თუ არა სემესტრის აკადემიურად გამოცხადების ან ეროვნული გამოცდების ფორმატის საფუძველი, რა წერია კურიკულუმში, უზრუნველყოფს თუ არა განათლების სამინისტრო არსებული პრობლემების მოგვარებას და როგორ მოიქცნენ დასავლური უნივერსიტეტები ონლაინ-პლატფორმაზე გადასვლის გამო? – აღნიშნული საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განათლების ყოფილი მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** საუბრობს.

– მინისტრმა თქვა, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იგეგმება, მაგრამ მანამდეც უარყო განათლების სამინისტრომ ეს, თუმცა პრემიერმა არ გამორიცხა. თქვენი პოზიცია როგორია ამასთან დაკავშირებით? არსებობს რამე საფუძველი, რომ მიმდინარე სემესტრი აკადემიურად გამოცხადდეს?

– არა, ამისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობს. თუ ამას ვინმე ამბობს, ეს, ამ ეტაპის მონაცემებით, არის დილეტანტიზმი, იმიტომ, რომ როგორც მინიმუმ, უნდა ჰქონდეს მას წაკითხული კურიკულუმი, რომელიც არსებობს 12 კლასში. მე-12 კლასი ძირითადად დატვირთულია განმეორებით, რაც ტოვებს ლუფტს, რომ 2-3 თვე, რომელიც შეიძლება იყოს გაცდენილი სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს იყოს ანაზღაურებული მე-12 კლასში.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ და ხაზს ვუსვამ, რომ საქართველოში არსებული კურიკულუმი, რომელიც შექმნილია ბოლონიის პროცესისა და ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, იძლევა შესაძლებლობას, რომ ის გაცდენა, რომელიც არსებობს, იყოს ანაზღაურებული. აქედან გამომდინარე, არანაირი საჭიროება და საფუძველი არ არსებობს აკადემიური წლის გამოცხადებისა.

– სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეროვნულ გამოცდებში მეორე სემესტრის მასალას არ შეიტანენ. ეს რამდენად გამართლებულია?

– აქაც მნიშვნელოვანია, რომ ვინც ასეთ ინფორმაციას ავრცელებს, მას უნდა ესმოდეს, რომ როგორც მინიმუმ, უნდა წაიკითხოს საქართველოში არსებული კურიკულუმი. ძირითადად მე-12 კლასში მიდის გამეორება და მე-12 კლასი აგებულია გამეორებაზე. ძალიან პატარა ნაწილი ეხება ახალი მასალის ათვისებას. ასეთი მასალა არსებობს, მაგრამ ძალიან მცირე ნაწილია.

ეროვნულ გამოცდებს რაც შეეხება, იქამდე არის დარჩენილი 3 თვე და არანაირი საფუძველი არ არსებობს ამ ეტაპზე იმაზე სასაუბროდ, თუ რა ელოდება ეროვნულ გამოცდებს. ეს საკითხი ამ ეტაპისთვის აბსოლუტურად არარელევანტურია.

– ანუ მართალია განათლების მინისტრი, როდესაც ამბობს, რომ ამ ეტაპზე ფორმატის ცვლილება არ იგეგმება?

– ამ ეტაპზე არანაირი საფრთხე არ ეხება ეროვნულ გამოცდებს. ახლა რაც გასაკეთებელია, ეს არის ის, რაზეც უნდა ისაუბროს განათლების მინისტრმა და ეს ეხება იმას, როგორ მოახერხოს იმ პრობლემების მინიმალიზაცია, რომლებიც შეიქმნა განათლების მიმართულებით. მე ვგულისხმობ, იმას, რომ განათლების სამინისტრომ აქამდე ვერ მოახერხა განათლების მიწოდება, რაც მათი მოვალეობაა, ამის ყველანაირი რესურსი არსებობს და გადავიდა სატელევიზიო გაკვეთილებზე.

ეს კარგია, თუმცა ეს არის ძალიან პატარა ნაწილი განათლების პროცესისა. სატელევიზიო გაკვეთილები იგივეა, რომ სახელმძღვანელო წაიკითხო, უბრალოდ, არის ვიზუალიზაცია, ვინაიდან ტელევიზორში უყურებ ამას. მხოლოდ სახელმძღვანელოს მიწოდებით განათლების პროცესი რომ არ არსებობს, ეს ხომ ყველას ესმის?! არსებობს ინტერაქცია, შეფასების სისტემა. ტელევიზორი კი ინტერაქციის შესაძლებლობას არ იძლევა. ეს ხომ ყველას ესმის!

– ანუ გულისხმობთ ინტერნეტიზაციის პრობლემას, რადგანაც ზოგიერთ ლოკაციაზე ჯერ კიდევ ვერ არის ეს საკითხი მოგვარებული?

– აქაც არ არის ისე მარტივად საკითხი. 2011 წელს საქართველოს ყველა სკოლაში იყო შეყვანილი ინტერნეტი. საატესტატო გამოცდები, 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ტარდებოდა ინტერნეტის საშუალებით, ანუ ყველა სკოლაში არის ინტერნეტი და 9 წლის განმავლობაში პირველკლასელ ბავშვებს აძლევენ კომპიუტერებს, ანუ, როგორც მინიმუმ, 9 კლასის ჩათვლით ბავშვებს აქვთ პერსონალური კომპიუტერები. რაც პრობლემაა, ეს არის სახლებში ინტერნეტი. ბევრს არ აქვს. ახლა 19 ლარი ღირს „ჯეოსელის“ ინტერნეტის ულიმიტო პაკეტები. ეს შეთავაზება აქვს კომპანიას. მოგეხსენებათ, უმრავლესობას უკვე სმარტფონები აქვს და, ვისაც არ აქვს, მეზობელს შეუძლია ჰქონდეს. სახელმწიფომ რაც ახლა უნდა გააკეთოს, არის ის, რომ უნდა აღრიცხოს ის ბავშვები, რომლებსაც ინტერნეტის პრობლემა აქვთ და შეუძინოს ეს პაკეტები. განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 1 მილიარდი ლარია და ამის გაკეთება რა პრობლემაა?! საუბარი საკმაოდ მცირე თანხებზეა.

„დასავლეთის უნივერსიტეტებმა სტუდენტებს გადასახადის ნაწილი დაუბრუნეს“

– რატომ არ კეთდება ეს?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. იანვარში უკვე ჩანდა, რომ პრობლემა იქნებოდა. განათლების სამინისტროს ჰქონდა 3 თვე და მას ეს უნდა მოეგვარებინა.

– ეს განათლების სამინისტროს არაეფექტიანობაზე მიუთითებს?

– განათლების სამინისტრო უნდა დაკავდეს თავისი მოვალეობის შესრულებით, რაშიც მას ხალხი უხდის ფულს. ეს ფული ჰაერიდან კი არ მოდის, ეს არის ხალხის გადასახადი. განათლების სამინისტრომ უნდა მიხედოს იმას, რაც მას ავალია და მას ავალია განათლების მიწოდება. განათლების სამინისტრო ამ პრობლემებს ვერ აგვარებს. ამას ნებისმიერი პროფესიონალი გეტყვით.

– კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება სტუდენტებს, რომელთა ნაწილმაც გამოთქვა პრეტენზია ონლაინსწავლების გამო. ან აკადემიურად გამოცხადებას ითხოვენ, ან – გარკვეულ შეღავათებს გადასახადებთან დაკავშირებით. ლოგიკურია მათი პრეტენზია, ვინაიდან ონლაინსწავლებისას გაცილებით იაფია გადასახადი, ვიდრე ჩვეულებრივი სწავლებისას. აქ როგორ ხედავთ პრობლემის მოგვარებას?

– აქ არის როგორც ფინანსური, ისე – შინაარსობრივი პრობლემა. მოდით, დავიწყოთ შინაარსობრივ პრობლემაზე საუბრით, რომელიც ეხება სტუდენტებს. პირველი, ყველა ნორმალური დასავლური უნივერსიტეტი შეფასების სხვა სისტემაზე გადავიდა, ანუ ნებისმიერ განათლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ცოდნის შეფასება. დასავლეთში ამას ეძახიან ჯი-პი-ეი-ს, ეხება ეს სკოლას თუ უნივერსიტეტს, თუმცა ამ ვირუსის პანდემიის გამო ყველა უნივერსიტეტი დასავლეთში გადავიდა არა რაოდენობრივ განსაზღვრაზე, არამედ ჩათვლა-არჩათვლის სისტემაზე. წერენ ჩათვლას ან არჩათვლას, რადგან ეს პრობლემები შეიქმნა. ამით უნივერსიტეტები ცდილობენ, რომ მინიმალიზაცია მოახდინონ იმ პრობლემებისა, რომლებიც შეიქმნა.

მეორე საკითხი უკავშირდება გადასახადებს. უნივერსიტეტების უმრავლესობამ დაიწყო ფულის ნაწილის დაბრუნება სტუდენტებისთვის, რომლებიც ახლა გადავიდნენ ონლაინრეჟიმზე. არავითარი ველოსიპედი არ გამოუგონიათ და თქვენ აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, როდესაც ამბობთ, რომ ონლაინ-განათლება უფრო იაფი ღირს, ვიდრე ჩვეულებრივი განათლება. ამიტომაც დასავლეთში უნივერსიტეტების უმეტესობამ ფულის ნაწილის დაბრუნება დაიწყო სტუდენტებისთვის.

– ანუ, მინიმუმ, ნაწილი მაინც უნდა დაუბრუნდეთ სტუდენტებს. ლოგიკა ეს არის?

– რა თქმა უნდა. მე მგონი ეს სამართლიანია. აქედან გამომდინარე, ფულის ნაწილს უბრუნებენ სტუდენტებს. ჰაერზე რომ არ ვილაპარაკო, ჩემი შვილის მაგალითს გეტყვით, რომელიც აშშ-ში სწავლობს. ჩემს შვილს დაუბრუნდა თანხის ნაწილი. მას აქვს აღებული 100%-იანი გრანტი, ამიტომაც კვებისა და დაბინავების ფულიდან ნაწილი დაუბრუნეს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა იქ ცხოვრობს.

– რა რაოდენობის დაბრუნებაზეა საუბარი? რამდენი პროცენტიდან რამდენ პროცენტამდე მერყეობს ეს მაჩვენებელი?

– ყველა უნივერსიტეტი თვითონ ითვლის. მაგალითად, ჩემი შვილი სწავლობს პრისტონში, სადაც 2/3 არის სწავლის გადასახადი, ხოლო 1/3 – კვება და დაბინავება. ჩემს შვილს კვების ფული დაუბრუნეს, დაბინავების ფული არ დაუბრუნებიათ. ვინც იხდის სწავლის გადასახადს, მათაც ფულის ნაწილი დაუბრუნეს. ყველა უნივერსიტეტი თვითონ ითვლის და ეს სისტემა სამართლიანია.

– ანუ ყველას ინდივიდუალური მიდგომა აქვს?

– კი, რა თქმა უნდა.

შოთა მალაშხია: „მთავრობამ სააკაშვილს ვერაფერი უპასუხა და ტროლები გააქტიურა“

„ის, ვინც ეკონომიკას კრიზისამდე ღუპავდა, მას ვერც ახლა ააღორძინებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ ეპიდემიოლოგიურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას**.

– მიუხედავად იმისა, რომ ინფექციის პიკისთვის გვამზადებენ, სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს ზოგიერთი ეკონომიკური აქტივობის აღდგენის სურვილს. საუბარია ობიექტების ამუშავებაზე ნორმების დაცვით.

– ხელისუფლება აგრძელებს იმ გზას, რომელსაც თავიდანვე დაადგა. მთავრობამ არასწორი მიმართულება აირჩია. ვსაუბრობ ხელისუფლების ნაბიჯებზე და არა პროფესიონალ მედიკოსებზე, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ. არავის ვაკრიტიკებ გარდაცვლილების გამო. ისინი ჩვეულებრივი გრიპის მსხვერპლნიც გახდებოდნენ. ხელისუფლებას სხვა გეზი რომ აერჩია, ყველაფერი ჩამკვდარი არ იქნებოდა და ეს კითხვაც არ გაჩნდებოდა.

– რა იყო გასაკეთებელი?

– ყველაფერი კომპლექსურად იყო გასააზრებელი. თავიდანვე უნდა ჩაკეტილიყო ოთხივე საზღვარი: სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან. ჩვენი მოქალაქეები რომ შემოვიდოდნენ, მათთვის უნდა მოგვეწყო ორდღიანი კარანტინი საზღვრისპირა საველე საავადმყოფოებში. ასეთივე ორდღიანი კარანტინი მოეწყობოდა აეროპორტებში – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ორდღიან კარანტინში გამოვიყენებდით სწრაფ ტესტებს. სამწუხაროდ, ამ ტესტებს დღემდე ვერ ვეღირსეთ. ტესტირების შედეგების მიხედვით ზოგს სამკურნალოდ გავუშვებდით, ზოგს – გარეთ.

– სწრაფი ტესტები რომ ზუსტ შედეგს არ იძლევა?

– ამაზეც გიპასუხებთ. პროფესიით ექიმიც ვარ და ჩემს თავს ვაძლევ ამაზე საუბრის უფლებას. უარყოფითი პასუხი ყოველთვის სწორია. ცდომილება შეიძლება იყოს დადებით პასუხში. თუ პირს დადებითი გამოუვლინდებოდა, მას დამატებით გამოიკვლევდნენ.

– ლუგარის ლაბორატორიაში?

– დიახ. ლუგარის მძლავრ და მგრძნობიარე ლაბორატორიას ახლა სწრაფი შედეგებისათვის აცდენენ. ჩიტს რომ ზარბაზანი ესროლო, ისეა. ტესტები რომ ყოფილიყო, ეს არ იქნებოდა. ლუგარის ლაბორატორიას მეტი დრო ექნებოდა კვლევისათვის, მაგალითად, გენეტიკური ხაზების დასადგენად. ლაბორატორიას საშუალება ექნებოდა, ამერიკიდან ჩამოსული ინფიცირებულისათვის ამერიკული გამოცდილება გამოეყენებინა, იტალიიდან ჩამოსულისათვის – იტალიური და ა.შ.

– ეკონომიკა ნაკლებად დაზარალდებოდა?

– რასაკვირველია. იქაც სხვა მიდგომა გამოიყენებოდა. ხელაღებით ყველაფრის დახურვა საჭირო არ გახდებოდა. შეიძლებოდა, კაფეებსაც ემუშავათ თანამშრომლების ეკიპირების პირობებში. შემოსულებს სიცხეს გაუსინჯავდნენ და სიცხიანებს კაფეებში არ შეუშვებდნენ. იგივე მოხდებოდა მაღაზიებში, რომლებიც დახურეს. კორონავირუსთან ბრძოლაში ჩაერთვებოდა მთელი საზოგადოება. ხალხი უფრო მობილიზებული იქნებოდა და დამრღვევს გაკიცხავდა.

– ადრე თქვით, რომ მთავრობას სასუნთქი აპარატები უნდა შეეძინა.

– ამას ახლაც გავიმეორებ. უხეში გათვლით, 3-მილიონიანმა ქვეყანამ 3.000 სასუნთქი აპარატი მაინც უნდა შემოიტანოს. ამის გამო ხელისუფლებას არავინ უსაყვედურებდა. ჯობია, მეტი ვიყიდოთ და შემდგომში გამოვიყენოთ, ვიდრე პანდემიისა თუ ეპიდემიის დროს დაგვაკლდეს. 14-დღიანი კარანტინი სახელმწიფოს ძვირი უჯდება. ამისათვის სასტუმროს ფული ერიცხებათ. თავდაპირველად დღე-ღამეში ეს 150 ლარი იყო, მოგვიანებით – 100 ლარი და ნაკლები. ერთი ტესტირება ერთი ადამიანის ერთი დღის იქ ყოფნის ფასია. ორდღიანი კარანტინი და სწრაფი ტესტირება იაფიც დაჯდებოდა. ეს ყველაფერს შეცვლიდა. ტესტირებაგავლილი ადამიანები ივლიდნენ გარეთ და გაუფრთხილდებოდნენ მოხუცებს. მეტი ადამიანი წავიდოდა სოფელში და მიწები არ მოცდებოდა.

– ამბობენ, რომ რეგიონებში იმდენი ხალხი ჩავიდა ქალაქებიდან, ხვნა-თესვის სამუშაოების პრობლემა მოიხსნა.

– ასე რომ არ არის საქმე, ვიცით. ეს იმ დაპირებას ჰგავს, ივანიშვილი რომ 2012 წელს იძლეოდა. ხალხს, სხვა დაპირებებთან ერთად, უფასო ხვნა-თესვასა და სათესლე მასალას ჰპირდებოდნენ. ივანიშვილი თვითონ არ ჩნდება. როცა თვითონ აქვს პირადად კრიზისი და „ქართულ ოცნებას“ უჭირს, ყოველთვის გამოდის, ხანდახან ხალხსაც მოუწოდებს, მიშველეთო. როცა ბიზნესში რამე უნდა გაირკვეს, მაშინ სახლში გარჩევებს აწყობს და ამბობს, რომ ამან და იმან ხაზარაძეს 100:0 მოუგო. ახლა, როცა ეკონომიკას დედა ეტირა, როცა ადამიანებმა შემოსავალი საერთოდ დაკარგეს, ხმას არ იღებს. ეტყობა, როცა თვითონ არა აქვს პრობლემა, არ ჩნდება.

– „ბლუმბერგის“ მონაცემებით, კორონავირუსმა ბიძინა ივანიშვილის ქონებაც შეამცირა.

– ეს მსოფლიო კრიზისის შემადგენელი ნაწილია. ამას ყველა შეგუებულია. როცა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ხალხს დახმარებას სთხოვდა, გვიხსნიდნენ, რომ პარტიის ლიდერია. ახლა აღარ არის მმართველი პარტიის თავმჯდომარე?!

– მძიმე ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია?

– ის, ვინც ეკონომიკას კრიზისამდე ღუპავდა, მას ვერც ახლა ააღორძინებს. კრიზისამდე ხელისუფლება დაკავებული იყო ფულის შოვნითა და ტენდერების ჩაწყობით, პრემია-დანამატების აღებით. ეს ხალხი ახლა უშველის ეკონომიკას? ემიგრანტებთან დაკავშირებით როგორ იქცევიან!

– ხელისუფლების მომხრეების პოზიცია ასეთია – მთავრობა ნელ-ნელა აგვარებს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენი მოქალაქეების ჩამოყვანის საკითხს და ამაში სხვები არ უნდა ერეოდნენ.

– ნელ-ნელა რომ აგვარებს, თვითონ ხელისუფლების წევრებმა იცხოვრონ ამ ნელ ტემპში. ჩვენს დიასპორას ძალიან გაუჭირდა. ზოგს აღარც სახლი აქვს და აღარც – საკვები ფული. ეს ის ხალხია, რომელიც წლების განმავლობაში ინახავდა თავის ოჯახებს საქართველოში. ბევრი ემიგრანტი ფულს დღემდე აგზავნის. ამ ადამიანებს დროზე უნდათ მიხედვა. რა დროს სააკაშვილთან კინკლაობაა! სააკაშვილი იმისთვისაც კი მზად არის, რომ კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში ჩარიცხოს ფული!

– გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინულ კომპანიას, რომელსაც სააკაშვილი შეუთანხმდა, მხოლოდ ტვირთების გადაზიდვის ლიცენზია დაუტოვეს.

– ეს „ქართული ოცნების“ ტროლების მოგონილია. ხომ გაირკვა, რომ ამ ხელისუფლებას ტროლების ქარხნები აქვს. პასუხი არა აქვთ და ტროლებს ალაპარაკებენ. დავუშვათ, სააკაშვილი თამაშობს. მიუშვი და გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია. თუ ადამიანს შეუძლია დახმარება, ემიგრანტების ტრანსპორტირება, რატომ უკარგავ ამის შანსს?! ხალხი რომ უმუშევრად დატოვე, სახლში გამოკეტე და ორმეტრიანი დისტანცირების დარღვევისთვის 3.000 ლარით აჯარიმებ, ეგ სწორია? მთელი სისტემა არასწორია. ესენი ეკონომიკას ვერ უშველიან. ამათ იციან ხეების გადატანა-გადმოტანა, ანაკლიის პორტის გაჩერება, რაჭა-ლეჩხუმში გიგანტური დამაზიანებელი ჰესების მშენებლობა. ამას კარგად აკეთებენ.

„დღეს გახარია ქვეყანას ივანიშვილის გარეშე მართავს“

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია ძველ რეიტინგს ვერ დაიბრუნებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, შემოდგომაზე მნიშვნელოვანი არჩევნებია. რა გავლენას იქონიებს არსებული რეალობა არჩევნებზე, თუ სრული სურათის შესაქმნელად ეკონომიკური ფაქტორი ექნება გადამწყვეტი?

– დღეს პროცესი პოლიტიკისგან სრულად დაცლილია. პროცესი დეპოლიტიზებულია. ოპოზიცია ჩუმად რომ არის, სრულიად შეგნებული და სწორი გადაწყვეტილებაა მისი მხრიდან, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

როგორც კი პანდემია გადაივლის და ქვეყანა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, პოლიტიკური პროცესი დაბრუნდება. ჟურნალისტებიც უკვე დაიწყებენ კრიტიკული კითხვების დასმას, ჩვეულებრივ რეალობაში დავბრუნდებით. ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივად მოხდება. ცხოვრება თავისთავად ისევ ზედაპირზე ამოატივტივებს პოლიტიკას.

მე მეეჭვება, რომ მიუხედავად ასეთი მაკომპენსირებელი პერიოდისა, როგორიც დღეს აქვს ხელისუფლებას, ეკონომიკურმა მდგომარეობამ, სოციალურმა პრობლემებმა ეს ფონი დიდხანს გააგრძელოს. ადამიანები გულმავიწყები ვართ და მოსახლეობაც ალბათ ადვილად დავიწყებს, რომ ხელისუფლების დამსახურებაა ეს გამარჯვება. რასაკვირველია, ყველაფერი შედარებითია და ამას ვამბობ სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ყველა ქვეყანას ასე ემუქრება, იქნება ჩვენთანაც. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ეკონომიკურ პრობლემებს როგორ გაართმევს თავს მთავრობა. მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე მაინც მეეჭვება, რომ ოპოზიციამ მოახერხოს იმ ნიშნულამდე მისვლა, სადაც ის იყო თუნდაც პანდემიამდე.

– ოპოზიციას გაუჭირდება თუნდაც ივანისის მოვლენების დროს დაგროვილი რეიტინგის დაბრუნება?

– ნამდვილად გაუჭირდება.

– მაშინდელი სოციოლოგიური კვლევებით, პირველ ადგილზე იყო „ქართული ოცნება“, მაგრამ, ჯამში, ოპოზიციას მეტი რეიტინგი ჰქონდა.

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ. მეეჭვება, რომ ეს რეიტინგი კვლავ დაიბრუნოს ოპოზიციამ.

– ეს მოვლენები გადაწონის ერთმანეთს?

– 20 ივნისის მოვლენებში, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვის ძნელი ფრაგმენტები იყო, რაც მმართველ პარტიას მხარდამჭერებს აკარგვინებდა, მაგრამ დღევანდელ მოცემულობაში ხელისუფლების წარმატება აშკარაა და ამას ხედავს საზოგადოება. ეს ძალიან მარტივად იგრძნობა სოციალურ ქსელებში.

მართალია, სახელმწიფომ გაიმარჯვა და არა – რომელიმე პარტიამ, მაგრამ ყურადღების ცენტრში სრულიად ბუნებრივად აღმასრულებელი ხელისუფლებაა. გახარია მოქნილია, არ აყოვნებს გადაწყვეტილებებს. ეს იგრძნობა და ამას გრძნობს ხალხი. ხელისუფლებამ მოუსმინა იმ სპეციალისტებს, რომელთა საქმეც არის ეპიდემიის მართვა. ბევრ ქვეყანაში არ მოუსმინეს და მიიღეს ის შედეგი, რომელიც მიიღეს, სამწუხაროდ.

– ივანიშვილი რომ არ ჩანს, ამაზე ადამიანებს კითხვა გაუჩნდებათ, რატომ არ ჩანს ამ გაჭირვების ჟამს?

– გახარიამ უთხრა, სახლიდან არ გამოხვიდეო და არის სახლში!

– დღეს გადაწყვეტილებებს მხოლოდ გახარია იღებს?

– დიახ, ასე ჩანს, თუმცა, ერთი მინდა გავიხსენო: სულ დასაწყისში, როდესაც ივანიშვილი პრემიერის პოსტიდან წავიდა, მან თქვა, რომ ის არ დაბრუნდებოდა, თუ ამის აუცილებლობა არ იქნებოდა.

მას არ აქვს ლტოლვა, რომ თანამდებობაზე იყოს. თანამდებობა მისთვის ტვირთია და ეს არაერთხელ უთქვამს. მას არ აინტერესებს პოლიტიკა, მაგრამ არც ის უნდა, რომ მასთან დაკავშირებული პროცესები თვითდინებაზე იყოს. ამიტომ დაბრუნდა, ამიტომ ვერ ტოვებდა პოლიტიკას. ერთი სიტყვით, ის პოლიტიკას იძულებით უბრუნდებოდა.

დღეს ხედავს, რომ ეს არ არის საჭირო. ის დღეს არ არის იძულებული, დაბრუნდეს პოლიტიკაში, მე ასე ავხსნიდი მის პასიურობას. ჯერჯერობით ამ პროცესს გახარია თავს ართმევს და, ბუნებრივია, რომ ივანიშვილი უკანა პლანზე გადავიდეს. ახლა რომ გამოვიდეს და თქვას, ხედავთ, რა კარგი შედეგები აქვს ჩემს პარტიას, მთავრობას, მთელი ეს პროცესი უკუშედეგს გამოიწვევს. ყველა პოლიტიკური პარტია გამოვარდება და ქულების გადანაწილებას დაიწყებს.

ახლა ივანიშვილის ჩრდილში ყოფნა სრულად ცლის ამ პროცესს პოლიტიკისგან და ეს კარგია.

„ოპოზიციას სურს, მოქალაქეები ერთდროულად ჩამოიყვანოს და ხელისუფლებას ქაოსი შეუქმნას“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი **ამირან სალუქვაძე** პასუხობს.

– ბატონო ამირან, მოგეხსენებათ, დღეს არაორდინარული ვითარებაა. ამ პირობებში საზოგადოება, ოპოზიცია და ხელისუფლება როგორ რეაგირებს? მათი დამოკიდებულებები როგორია? ისინი ვითარების ადეკვატურები არიან?

– რიგრიგობით მივყვეთ. იმ შედეგებიდან გამომდინარე, რომლებიც დღეს საქართველოში გვაქვს, ხელისუფლების მოქმედებები არის თანმიმდევრული და ადეკვატური. ამას მთელი მსოფლიო ხედავს. ამას საზოგადოებაში, ვისაც სურვილი აქვს, დაინახავს. ვისაც დანახვა არ უნდა, მასთან საუბარი ზედმეტია.

საზოგადოების უმეტესი ნაწილი ადეკვატურად რეაგირებს მიუხედავად ყველანაირი სირთულისა და თვითიზოლაციის რეჟიმისა, რაც ყველასათვის მარტივი არ არის. სხვადასხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობის ადამიანები არიან, ყველა ერთნაირად ვერ აღიქვამს, ვერ უძლებს, ვერ იტანს ასეთ ჩაკეტილობას.

– ანუ არსებული ვითარება ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე აისახება?

– დიახ. ამიტომ საფიქრალია ფსიქოლოგიური სამსახურების განვითარება. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი იდეა, რომელიც უნდა მიეწოდოს ხელისუფლებას. ჩვენ მსგავსი განსაცდელი არ გვქონია. 2008 წლის ომი ხანმოკლე იყო. 1992-93 წლებში, მაშინდელი საინფორმაციო ვითარებიდან გამომდინარე, მწირი ინფორმაცია იყო და ყველაფერი გადადიოდა იმ ადამიანების ზურგზე, რომლებიც ომობდნენ და ზურგიდან საბრძოლო მოქმედებებს უზრუნველყოფდნენ. ქვეყანა გასაჭირში იყო, მაგრამ ეს მთელ საზოგადოებაზე არ აისახებოდა.

დღეს, განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში, ადამიანის ასეთი ჩაკეტილობა საკმაოდ რთულია. ამ ვითარებაში, ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ჩვენს საზოგადოებას მადლობა უნდა ვუთხრათ იმ დიდი მოთმინებისთვის, რომელსაც იჩენს.

ძირითადად ადამიანები ამ საშიშროებას ადეკვატურად აღიქვამენ, თუმცა, არსებობენ უპასუხისმგებლო ადამიანებიც. არის ჯგუფური დაინფიცირების ფაქტები, რომელსაც წავაწყდით სხვადასხვა რაიონში.

– მიზეზი რა არის იმისა, რომ ადამიანები სიფრთხილეს არ იჩენენ?

– მიზეზი ნაწილობრივ ზოგიერთ რაიონში ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემა იყო, რაც გამოჩნდა კიდეც. თუმცა, არა მგონია, დღევანდელ მსოფლიოში ვინმესთვის ცნობილი არ ყოფილიყო, რა ხდებოდა თვეების განმავლობაში.

მესმის, ერთი კვირა ვერ გაიგო ადამიანმა ან ერთი თვე, მაგრამ მეოთხე თვეა გრძელდება და, წესით, ყველა ინფორმირებული უნდა ყოფილიყო, დენის პრობლემების მიუხედავად. ადამიანების მხრიდან დაუდევრობასაც აქვს ადგილი, თუმცა ამ დაუდევრობას უკვე კოდექსი არეგულირებს და შეიძლება, ასეთი დაუდევრობა ზოგს თავისუფლების ფასადაც დაუჯდეს.

– ოპოზიცია როგორ იქცევა ამ ვითარებაში?

– ბოლო დღეებში რაღაც მცდელობები ჩანს, მაგრამ იმდენად ვერ უბამენ მხარს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რომ ორ პოლუსს შორის არსებული სიძულვილი და სიძულვილის ენა თავისას მაინც აკეთებს. ჩვენ რეალური მხარდაჭერა, რეალური ერთსულოვნება ოპოზიციის მხრიდან ვერ ვნახეთ. მმართველი გუნდი მიდის ერთი მიმართულებით, ოპოზიციურ ძალებს კი ჩემთვის სრულიად გაუგებარი დღის წესრიგი აქვთ.

– გაუგებარი დღის წესრიგი რას ნიშნავს?

– ფაქტობრივად, აგრძელებენ პოლიტიკურ ბრძოლას. სხვა სახელმწიფო არ მეგულება, სადაც ოპოზიციური პოლიტიკური ძალები მსგავსი სიმძაფრით იბრძვიან.

– იქნებ იმიტომ იქცევიან ასე, რომ არსებულ ვითარებაში ოპოზიცია უფუნქციოდ დარჩა და ცდილობს, ხელისუფლებას გარკვეული შეთავაზებები გაუკეთოს?

– გეთანხმებით. შეთავაზებებს რაც შეეხება, ოპოზიციამ ბოლო დღეებში დაიწყო ჩვენი მოქალაქეების ჩამოყვანაზე საუბარი, მაგრამ აქაც ჩასაფრებულის პოზიციას ვხედავ.

– რატომ ჩასაფრებულის?

– დიდი მასშტაბით მოქალაქეების ერთდროულად ჩამოყვანის მცდელობა იყო იმისათვის, რომ ხელისუფლებისთვის ქაოსი შეექმნათ და, ფაქტობრივად, ჯანდაცვის სისტემას ვერ გაეძლო, ასევე, კარანტინი და იძულებითი იზოლაციის უზრუნველყოფაც გაძნელებულიყო, რასაც სახელმწიფო ახორციელებს.

5 ათასი ადამიანი იმყოფება კარანტინისა და იძულებით იზოლაციაში. ეს საკმაოდ დიდი ზეწოლაა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკადების კონტროლსა და ორგანიზებას. არ შეიძლება, ისე მოაწყო, რომ ათასობით ადამიანი საზღვრებს ერთ დღეს მოაწყდეს და სახელმწიფომ უსაფრთხოების ნორმების დაცვით მათი შემოწმება და ყველა პროცედურის ჩატარება ვერ მოახერხოს.

– მაშინ, ოპოზიციამ ამ ვითარებაში თავისი ფუნქცია როგორ უნდა შეასრულოს?

– ოპოზიციას პირველივე დღეებიდან, როცა ეპიდემიის გლობალური მასშტაბები გამოჩნდა, შეეძლო, გაეკეთებინა სათანადო განცხადებები (გარკვეული პირების განცხადებები იყო, მაგრამ მე ძირითად ოპოზიციურ ძალებს ვგულისხმობ) და დამდგარიყვნენ ვირუსის საწინააღმდეგო მხარეს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

– მაინც როგორ წარმოგედგინათ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთობა?

– ოპოზიციას თავისი ფუნქცია სწორედ აქ უნდა ენახა, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამონახეს ფორმატი და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, შეეძლოთ, მიეწოდებინათ წინადადებები, ეთქვათ, მოდით, დავსხდეთ, ვილაპარაკოთო, გაერთიანებული საბჭო შეექმნათ, ანუ ერთიანად ემოქმედათ.

ამის მაგივრად ხდება შეტევა ხელისუფლებაზე, ეკლესიასა და ექიმებზე. ოპოზიცია პირიქით იქცევა.

– გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ მათ შეუძლიათ მოქალაქეების ჩამოყვანა, მაგრამ თან ერთი ულტიმატუმი აქვთ – უნდათ, ფრენები ერთ-ერთმა უკრაინულმა ავიაკომპანიამ შეასრულოს.

– რატომ მაინცდამაინც უკრაინული კომპანია, რა ახირებაა? ესეც კითხვებს ბადებს.

იმ კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ოჯახური ბიზნესია, თუმცა კითხვებს ის ბადებს, რომ კომპანიის უკან ახმეტოვი და სხვა მდიდარი ხალხი მოიაზრება. ყოველ შემთხვევაში, ღია წყაროებში ასეთი ინფორმაცია მოიპოვება. კიევის ერთ-ერთმა რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულ საავიაციო კომპანიას ლიცენზია შეუჩერა.

ხორცი გაძვირდა 14.7%-ით, ბოსტნეული — 12.5%-ით; რძე, ყველი და კვერცხი — 18.9%-ით

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.1 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2020 წლის მარტში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 3.3 პროცენტით განისაზღვრა.

„ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2.0 პროცენტიანი მატება. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინდექსში 0.63 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (9.6 პროცენტი), ხილი და ყურძენი (8.9 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (3.7 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (2.6 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (2.3 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (1.7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის (-1.3 პროცენტი) და თევზეულის (-1.2 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 0.8 პროცენტიანი კლება, რაც -0.09 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები შემცირდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (-2.0 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-1.4 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (8.6 პროცენტი);

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 13.4 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 4.18 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (29.7 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (18.9 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (14.8 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (14.7 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (12.5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (10.2 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (9.1 პროცენტი), თევზეული (8.0 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (7.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (5.4 პროცენტი);

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 8.9 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში შეადგინა 0.4 პროცენტული პუნქტი. ფასების ზრდა დაფიქსირდა საზოგადოებრივ კვებაზე (10.3 პროცენტი), ამასთან, ფასები შემცირდა ღამის გასათევით მომსახურებაზე (-2.1 პროცენტი);

სხვადასხვა საქონელი და მომსახურება: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6.8 პროცენტიანი მატება, რაც 0.36 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასების ზრდა დაფიქსირდა ქვეჯგუფებზე: პირადი ნივთები, სხვა კატეგორიებში ჩაურთველი (22.7 პროცენტი) და პირადი ჰიგიენა (6.5 პროცენტი)“ – აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 286 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულებისა და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 286 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ 5 აპრილის 21 საათიდან 6 აპრილის დილის 6 საათამდე ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 136 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვის და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 82 მოქალაქე დააჯარიმეს.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითთიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითთიზოლაციის წესების დარღვევის 9 ახალი ფაქტი გამოვლინდა. სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 59 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე სასამართლო განაჩენს 13 აპრილს გამოაცხადებს



20 ივნისის საქმეზე ბრალდებული თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე სასამართლო განაჩენს 13 აპრილს გამოაცხადებს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა განუცხადა.

როგორც ჭაბაშვილი განმარტავს, ირაკლი ოქრუაშვილს გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მოლოდინი არ აქვს.

– მტკიცებულებებით განაჩენი რომ არ დადგება, ეს ყველასთვის გასაგებია. მტკიცებულებები არც ჰქონიათ. რაც ბუნებაში არ იყო, როგორ ექნებათ? აქ მთავარი სხვა რამ არის, ამ განაჩენის გამოტანას ჩქარობენ, მეორე საქმეზე მოწმეების დისტანციურად დაკითხვა უნდათ, მაშინ როცა ყველა სხვა საქმე გადაგვიდეს, არ გვიტარებენ, მაგრამ ირაკლისთან მიმართებით აბსოლუტურად სხვა მიდგომა აქვთ.

სიმართლე გითხრათ, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ამ ვითარებაში, როცა პოლიტიკა უფრო მაღლაა, ვიდრე სამართალი, ირაკლისიც ეეჭვება, მაგრამ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, – განაცხადა ჭაბაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილი 20 ივნისის აქციის დარბევისას სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დაიკავეს, რაც ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს.

საქართველოში თანამდებობის პირებისთვის სპეციალური ციხე აღარ იარსებებს

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოში პოლიტიკოსებისა და მაღალჩინოსნებისთვის სპეციალურად განკუთვნილი პენიტენციარული დაწესებულება აღარ იარსებებს.

გუშინ, 6 აპრილს, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე წულუკიანმა აღნიშნა, რომ ყველა ყოფილი საჯარო მოხელე მე-12 პენიტენციარულ დაწესებულებაში განთავსდება.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალში ეს დაწესებულება შეუერთდება №12 დაწესებულებას და საქართველოში აღარ იარსებებს მაღალჩინოსნებისთვის სპეციალურად განკუთვნილი პენიტენციარული დაწესებულება. ჩვენ ვთვლით, რომ ყოფილი საჯარო მოხელე თუ სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე პირი, რომელი ჩინისა და რანგის მოხელეც არ უნდა იყოს, ისინი იქნებიან ერთსა და იმავე დაწესებულებაში და მაღალჩინოსნებისთვის დაწესებულება 1 მაისიდან აღარ იარსებებს.

ყველა ყოფილი საჯარო მოხელე იქნება განთავსებული №12 დაწესებულებაში, რომლის ნაწილიც ყოფილი „მატროსოვის ციხე“ გახდება 1 მაისიდან, – განაცხადა წულუკიანმა.

კრიზისმა ეროვნული ბანკის დაგვიანებული, არაეფექტიანი და „შეშინებული“ პოლიტიკა კიდევ უფრო სახიფათო გახადა

გასული კვირის ბოლოს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ხელმძღვანელმა, კორონავირუსისგან სულ ახლახან გამოჯანმრთელებულმა ნიკოლოზ გამყრელიძემ, საჯაროდ უსაყვედურა ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძეს სიტლანქისა და მოუქნელობის გამო.

მედიასთან საუბრისას გამყრელიძემ აღნიშნა, რომ მის მიერ, ანუ ქვეყნის ყველაზე მსხვილი ჰოსპიტალური გაერთიანების პირველი პირის

მიერ მიწერილ წერილზე, რომელიც პრაქტიკულად ბოქსირებული პალატიდან გაუგზავნა გვენეტაძეს და სადაც ოპერატიულ რეჟიმში მისაღებ გადაწყვეტილებებზე იყო საუბარი, 10 დღეა გასული და რეაგირება არ მიუღია....

ბუნებრივია, იყო მოლოდინი, რომ ამ განცხადებას ეროვნული ბანკის მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვებოდა და საზოგადოება ახსნა-განმარტებას მოისმენდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომ „ბანკები და ფინანსები“ უკვე დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა საკითხების გადაჭრაში ითხოვდა სასწრაფო თანადგომას „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ ეროვნული ბანკისგან იმ ვითარებაში, როცა გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ჯანდაცვის სექტორის გამართულად და შეუფერხებლად ფუნქციონირება. შესაბამისად, შემოგთავაზებთ თემის გაგრძელებასაც.

მანამდე კი, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეროვნული ბანკისა და მისი პრეზიდენტის დაგვიანებული რეაქციები უკვე მავნე ჩვევადაა ქცეული. სამწუხარო და დამაზიანებელი კი ის არის, რომ ეს მოუქნელობა აზარალებს მთელ ქვეყანას და გადაცემის ეფექტის პრინციპით ეხება თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს.

ჯერ კიდევ სხვა საკითხია და დღეს ძნელი სათქმელია, რა უფრო დააზარალებს ქვეყანას, საკუთრივ კორონავირუსი თუ პანდემიისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. ფაქტია, რომ საქართველოში ვირუსს პროფესიონალი ეპიდემიოლოგები და კლინიცისტები დაუხვდნენ და დღემდე შესაძლებლობების მაქსიმუმით ებრძვიან. ამაზე საზოგადოება თანხმდება, თუმცა, ცუდი ის არის, რომ ანალოგიური ვითარება ვერ გვაქვს კრიზისულ ვითარებაში საბანკო-საფინანსო სფეროს რეგულირების თვალსაზრისით.

უფრო სამწუხარო ის არის, რომ არსებული რეალობა ეროვნული ბანკისა და მისი პრეზიდენტის, კობა გვენეტაძის მიერ ახლო წარსულში გატარებული არასწორი, არაადეკვატური და მცდარი პოლიტიკის მიმდინარე ლოგიკური გაგრძელების შედეგია.

თავად განსაჯეთ – ფაქტია, გასულ 2019 წელს გამკაცრებულმა ღონისძიებებმა დიდწილად განაპირობა ლარის გაუფასურება და ინფლაცია და ცენტრალური ბანკი შემდგომში იძულებული გახდა, მანამდე მის მიერვე მხარდაჭერილი და გატარებული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო – მიღებული ზომის სახით ეროვნულ ბანკს საპროცენტო განაკვეთის 2.5 პროცენტული პუნქტით ანევაც მოუხდა, ანუ, რომ არა ის ღონისძიებები და არასწორი პოლიტიკა, რაც შარშან აქტიურად ტარდებოდა, ახლა გვექნებოდა მონეტარული პოლიტიკის საგრძნობლად დაბალი განაკვეთი, ნაკლები ინფლაცია და, შესაბამისად, მეტი საშუალება საიმისოდ, რომ გაცილებით ეფექტიანად გვემართა შოკები, მათ შორის, გაცვლითი კურსიდან მომდინარე შოკები.

ექსპერტულ წრეებში ხშირად აღინიშნება, რომ შოკურ პერიოდში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოზიციონირება არ არის დამაჯერებელი და მისი ვერბალური ინტერვენციები, სამწუხაროდ, ვერ ახდენს საჭირო ეფექტს. უფრო პირიქით, ამძაფრებს განცდას, რომ ვითარების კონტროლი არ/ვერ ხერხდება და პროცესი თვითდინებაზეა მიშვებული....

„ბანკები და ფინანსები“

კახეთის რეგიონის შესასვლელებში საკონტროლო-გამშვები პუნქტები მოეწყო

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების მიზნით, კახეთის რეგიონში კონტროლის არეალი გაფართოვდა და საკონტროლო-გამშვები პუნქტები რეგიონის შესასვლელებში მოეწყო.

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, პირთა გადაადგილების კონტროლისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, 24-საათიან რეჟიმში შეზღუდვების კონტროლს განახორციელებენ და რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებზე პირთა გადაადგილებას და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფენ. ასევე, ადგილზე მოხდება მოქალაქეთა პირველადი თერმოსკრინინგი.

ამ დრომდე საკონტროლო-გამშვები პუნქტები თელავის ყველა შესასვლელში იყო განთავსებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მოსახლეობას რეგულარულად განუმარტავენ საკარანტინო შეზღუდვებს და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაეხმარებიან.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

„საინტერესოა, რას ელის ჩვენგან მინისტრი“ — „სადაზღვევო ასოციაცია“ ეკატერინე ტიკარაძის ინიციატივაზე

– ამ ეტაპზე კოვიდინფექციის მკურნალობის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო ფარავს, თუმცა სადაზღვევო კომპანიებთან ფინანსურ მხარდაჭერაზე მოლაპარაკებები გაიმართება, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

როგორ ჩაერთვებიან სადაზღვევო კომპანიები მთავრობის ახალ ინიციატივაში, ამ თემაზე სასაუბროდ „კომერსანტი“ „სადაზღვევო ასოციაციის“ ხელმძღვანელს დაუკავშირდა, თუმცა დევი ხეჩინაშვილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს და, შესაბამისად, არც მინისტრთან უსაუბრია.

– ეს ინფორმაცია პირველად მესმის, ამაზე საუბარი მინისტრთან არ გვქონია. როგორ უნდა ჩაერთონ სადაზღვევო კომპანიები, ეს ჩემთვის არ არის ცნობილი. ზოგადად, ასეთი რამ ძალიან სერიოზული თემაა. აქ მნიშვნელოვანია, რა კუთხით ხედავენ სადაზღვევო კომპანიების ჩართვას, მაგალითად, მკურნალობით ნაწილში ჩვენი პოლისები კარანტინს არ ფარავს, მაგრამ ამბულატორიული და ჰოსპიტალური ნაწილი იფარება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რა მასშტაბებზეა საუბარი. ჯერჯერობით საფრთხე იმაშია, რომ მომხმარებლები სადაზღვევო ხელშეკრულებების გაუქმებას ითხოვენ, რადგან ვეღარ იხდიან თანხებს, ტენდენცია მზარდია და, შესაბამისად, ისინი ტვირთად საყოველთაო დაზღვევას დააწვნენ. მოკლედ, საინტერესოა, რას ელის ჩვენგან მინისტრი. საშნუხაროა, რომ ამის შესახებ არ ვიცოდით, – განაცხადა დევი ხეჩინაშვილმა.

კომერსანტი

მადლობა ქალბატონ ქეთევან ჯოხაძეს. მისი ძალისხმევით მიენიჭა მე-9 საჯარო სკოლას ნოდარ ახალკაცის სახელი

ჩვენი ნოდარ ახალკაცისგან ვიცი, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევენ და არ ასკუპებენ, როგორც ბიძინამ დაგვისკუპა სიძის ძმისშვილი კობიაშვილი, რომელიც ლეგენდა ფეხბურთელებს ვერ ცნობს.

მე, პენსიონერმა კაცმა, ჩემი პენსიით ნოდარ ახალკაცის სახელობის სკოლაში 180 ლეგენდა-ფეხბურთელის სტენდი გავაკეთე. სხვათა შორის, ამ სკოლაში სწავლობს ჩემი შვილთაშვილი კახა დოლიძე. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვუთხარი, იქნებ შემაშველოთ ცოტა თანხა-მეთქი. იცით, რა მითხრა? ეგ მე არ დამივალებიაო. გრანტების ჭამა ვინ დაგავალა, შე პაიკო?! ვენაცვალე ჯუმბერ ბერაძეს, დახმარების ხელი გამომიწოდა. კაცური კაცია.

უკეთილშობილესმა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინა გიგაურმა მითხრა, ეს რა საშვილიშვილო საქმე გაგვიკეთე, ბატონო იბო, ამ სურათებს დასცქერიან ბავშვები და მათგან ძალიან დიდი მუხტი წამოვიდა, სწავლის დონემ საგრძნობლად მოიმატაო. მე, რაც გავაკეთე, მადლობელი ვარ ჩემი თავის, რომ ბავშვები გახარებულები არიან. კვირა არ გავა, ჩემს გაკეთებულ 180 სურათს რომ არ დავხედო. თითქოს წლები მაკლდება, ისე ვარ სიხარულით დამუხტული, ბავშვებისთვის რომ რაღაცის გაკეთება შევძელი. ეს გრანტიჭამია კობიაშვილი ერთხელ არ დაინტერესებულა, რომ ამ სკოლაში მობრძანებულიყო. ეს სკოლა არ არის, ეს არის ერთი დიდი ოჯახი. საოცრება ის არის, ამდენი კეთილშობილი პედაგოგი ერთად როგორ მოგროვდა. ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება, იმიტომ, რომ ბავშვები მცნობენ და „იბო ბაბუს“ მეძახიან. ეს სკოლა ნოდარ ახალკაცის სახელობისაა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ბევრი ვიარე, ეს სკოლა რომ მისი სახელობის ყოფილიყო.

ღმერთმა გაახაროს ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე. სწორედ მისი ძალისხმევით მიენიჭა სკოლას ნოდარ ახალკაცის სახელი. მადლობა მას ამისთვის. ჩვენი გრიშა ონიანი მამხნევებს სიტყვებით, ამით კარგი საქმე გააკეთეო. დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ბატონ გრიშას.

იბო დოლიძე

2020, 7 აპრილი, №81

აშშ-ის სადაზვერვო თანამეგობრობის მთავარმა ინსპექტორმა პოსტი დატოვა

ტრამპმა აშშ-ის სადაზვერვო თანამეგობრობის გენერალური ინსპექტორი მაიკლ ატკინსონი პოსტიდან დაითხოვა.

– ატკინსონს არ ვენდობი, – განაცხადა ტრამპმა ბრიფინგზე.

მაიკლ ატკინსონი პრეზიდენტმა კარგა ხანია, აითვალწუნა. მას თავი დამოუკიდებლად ეჭირა და აშკარად აცხადებდა, რომ ემსახურება სახელმწიფოს და არა – პრეზიდენტს. სწორედ ატკინსონმა გაასაჯაროვა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ტრამპი ახორციელებდა ზეწოლას უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკიზე. აშშ-ის ლიდერმა მაშინ ზელენსკის კატეგორიულად დაუსვა საკითხი: ან კომპრომატები ბაიდენზე, ან ამერიკის სამხედრო დახმარებას უნდა გამოემშვიდობოთო. ატკინსონის წყალობით ეს ინფორმაცია დემოკრატიული პარტიის ხელში აღმოჩნდა. აზვირთდა გრანდიოზული სკანდალი, რომელიც ტრამპს კინაღამ იმპიჩმენტის ფასად დაუჯდა.

ტრამპმა პოსტი შეინარჩუნა, თუმცა ეს მთავარი არ არის. ამერიკის პოლიტიკურმა კლასმა საშუალება პრეზიდენტს არ მისცა, უგუნური და უპასუხისმგებლო ხაზი გაეტარებინა. საპრეზიდენტო არჩევნებზე ხომ ტრამპი საჯაროდ აცხადებდა, უკრაინა ამერიკის პრობლემა არ არის, პუტინთან საერთო ენა გამოიძებნება, აშშ-ის უმთავრესი მტერი კი ჩინეთიაო.

ატკინსონი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც პრეზიდენტს ამ ხაზის გატარების საშუალება არ მისცა. შედეგმაც არ დააყოვნა. როგორც კი იმპიჩმენტის გარშემო აჟიოტაჟი ჩაცხრა, ტრამპმა ატკინსონი დაითხოვა.

– თუ ვინ დაინიშნება მის ადგილას, ეს ჯერჯერობით არ ვიცი, – განუცხადა ჟურნალისტებს ტრამპმა.

აშშ-ის კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ ტრამპის გადაწყვეტილება დაგმო. მან თქვა, რომ ატკინსონი პატიოსანი პროფესიონალი და პატრიოტია; ის ისე მოიქცა, როგორც ჭეშმარიტი ამერიკელი უნდა მოქცეულიყო. პრეზიდენტი გააკრიტიკა კონგრესის სადაზვერვო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ადამ შიფრმაც.

– ტრამპმა ატკინსონს პირადი ანგარიშები გაუსწორა! – თქვა მან.

ბორის ჯონსონი კლინიკაში გადაიყვანეს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი კლინიკაში გადაიყვანეს.

პრემიერის პრესსპიკერის განცხადებით, 10 დღე გავიდა, რაც ჯონსონს კორონავირუსი დაუდასტურდა, თუმცა მას უნარჩუნდება ვირუსისთვის დამახასიათებელი მუდმივი სიმპტომები, მათ შორის – მაღალი ტემპერატურა.

ეს ფასდება, როგორც გამაფრთხილებელი ნაბიჯი, რომელიც მიღებულია მისი ექიმის მიერ.

ბორის ჯონსონი კვლავაც პასუხისმგებელია მთავრობის მუშაობაზე და მოუწოდებს ადამიანებს, გაითვალისწინონ მისი რჩევა სოციალური დისტანციის თაობაზე.

ონლაინპეტიცია გებრეიესუსის გადადგომას ითხოვს

ონლაინპეტიციას, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსის გადადგომას ითხოვენ, 800.000-მდე ადამიანმა მოაწერა ხელი.

„მან ვერ შეძლო, სათანადოდ შეეფასებინა ვირუსი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი თავისი თანამდებობის შესაფერისი არ არის. ჩვენ ვითხოვთ მის დაუყოვნებლივ გადადგომას“, – წერია პეტიციაში.

ავტორების მიხედვით, იმის ნაცვლად, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას მცდელობა ჰქონოდა დაედგინა, თუ რა ვითარება იყო ჩინეთში, მან დაუჯერა იმ არასწორ ცნობებს, რომლებსაც ოფიციალური პეკინი ავრცელებდა.

– ჩვენ იმედგაცრუებულნი ვართ, რადგან გვჯერა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა იყოს. ტედროს გებრეიესუსმა ყოველგვარი გამოძიების გარეშე დაუჯერა ჩინეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, – აცხადებენ პეტიციის ავტორები.

მოსკოვში 3 მართლმადიდებელ მღვდელს კორონავირუსი დაუდგინდა

რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მართლმადიდებელი ეკლესიის 3 მღვდელს კორონავირუსი დაუდგინდა.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ეჭვობენ, რომ კორონავირუსი შეიძლება კიდევ 2 სასულიერო პირს ჰქონდეს და ახლა მათი გამოკვლევის პასუხს ელიან.

ერაყში ამერიკულ ნავთობკომპანიებს რაკეტები ესროლეს

ერაყში საერთაშორისო სანავთობო კომპანიებზე სარაკეტო თავდასხმა განხორციელდა. ინფორმაციას ისრაელის მედია ირანულ გამოცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

თავდასხმა რეგიონში მოქმედ ამერიკულ კომპანიებზე მოხდა.

მედიის ცნობით, დაუდგენელია, თუ ვინ განახორციელა თავდასხმა, ასევე ის, არიან თუ არა დაშავებულები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კოუტინიოს გზა ლონდონისკენ მანჩესტერის გავლით მიდის

მანჩესტერ იუნაიტედი ფილიპე კოუტინიოთი დაინტერესდა. თავად ბრაზილიელისთვის კი პრემიერლიგა უცხო არ არის. გემახსოვრებათ, კოუტინიომ 2018 წლის იანვარში ლივერპული დატოვა და ბარსელონას 142 მილიონი გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ შეუერთდა, მაგრამ ესპანეთში მოლოდინი ვერ გაამართლა.

პირენეიდან ბრაზილიელი ფეხბურთელი ზაფხულში მიუნხენის ბაიერნში არენდის წესით გაუშვეს, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, ბუნდესლიგის ბინადრები მის გამოსყიდვას არ აპირებენ.

შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბარსას, სავარაუდოდ, ფეხბურთელების გაყიდვა მოუწევს. იუნაიტედი კი 27 წლის ბრაზილიელის შეძენით დაინტერესებულია.

მანჩესტერელს კონკურენტიც ჰყავს, თან ახლოს – მედიის ცნობით, ლონდონის ჩელსიმ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა, დაუკავშირდა ფეხბურთელის აგენტს და ბრაზილიელის ლონდონში გადასვლის შესაძლებლობა განიხილეს.

თუ ბოლო ინფორმაციებს გადავხედავთ, იუნაიტედი სრულად არის ორიენტირებული ტრანსფერებზე და მათ პრიორიტეტები უკვე განსაზღვრული აქვთ: ჯადონ სანჩო, ჯეკ გრილიში და ჯეიმს მედისონი – ამ ფეხბურთელების მოყვანას ითხოვს ოლე გუნარ სოლსკიაერი.

ამასთან, სანჩოს თითქმის შეთანხმებულმა ტრანსფერმა იუნაიტედთან ჩელსის გზა გაუხსნა, რომ კოუტინიოს თაობაზე ბარსასთან მოლაპარაკება დაასრულოს.

სანჩოს გადაბირებით ბევრი ევროპული კლუბია დაინტერესებული, მაგრამ, მედიის ცნობით, „წითელი ეშმაკები“ ფავორიტები არიან და ფეხბურთელთან უკვე ყველაფერი გაარკვიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრენკ ლამპარდის გუნდი სრულ ყურადღებას კოუტინიოზე გადაიტანს.

სამაგიეროდ, იუნაიტედს დატოვებს ალექსის სანჩესი. იტალიური გამოცემები წერენ, რომ ვესტ ჰემის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ სანჩესის აგენტს და მისი ხელმისაწვდომობა შეამოწმეს. 31 წლის ჩილელი ზაფხულში მილანის ინტერს არენდის წესით შეუერთდა, მაგრამ იტალიურმა კლუბმა უკვე მიმართა იუნაიტედს, რომ მის გამოსყიდვას არ აპირებენ. ასე რომ, ჩილელის გზაც ლონდონისკენ მიდის.

ოლიმპიური ლიცენზიები მომავალი წლის 29 ივნისამდე გათამაშდება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს აცნობა, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობები 2021 წლის 29 ივნისამდე დასრულდება.

სოკ-ში იმედს გამოთქვამენ, რომ ერთი თვის ვადაში ჩამოაყალიბებენ საკვალიფიკაციო შეჯიბრებათა კალენდარს. ამასთან, აღნიშნულია, რომ ტურნირების ჩატარების თარიღებსა და ადგილებზე სრული ინფორმაცია გამოქვეყნდება კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

სოკ-ის მითითებით, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა უნდა მისდიონ სალიცენზიო ასპარეზობათა პირვანდელ წესებს.

სპორტის სახეობები, რომლებიც თამაშებზე კვალიფიკაციისთვის მსოფლიო რეიტინგებს იყენებენ, მათ შორის ძალოსნობა, ძიუდო და ბადმინტონი, სხვა ფედერაციებთან შედარებით, უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგანან. სოკ-ის განცხადებით, საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციებმა ახალი სალიცენზიო ვადების დადგენისას უნდა შეინარჩუნონ სრული თავისუფლება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ სპორტსმენთა ინტერესები, რომლებიც ახლოს იყვნენ ტოკიო-2020-ის საგზურებთან. გარდა ამისა, ტოკიოს თამაშებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს 2021 წლის სეზონის საუკეთესო შედეგების მქონე სპორტსმენთა მონაწილეობა.

სოკ-ის პრეზიდენტ თომას ბახის ადრე გაკეთებული განცხადების თანახმად, ყველა სპორტსმენი, რომლებმაც ტოკიოს თამაშების საგზური მოიპოვეს, ლიცენზიას შეინარჩუნებს. დღესდღეობით 11.000 ოლიმპიელიდან ლიცენზია 57 პროცენტს აქვს მოპოვებული.

როგორც იცით, კორონავირუსის პანდემიის გათვალისწინებით, 24 მარტს იაპონიის ხელისუფლებამ და საერთაშორისო ოლიმპიურ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სასეირნოდ გამოსული ქალი ნაცნობ ალიგატორს გადააწყდა

ამერიკის ფლორიდის შტატში ნაკრძალის თანამშრომელი ქალი სასეირნოდ გავიდა და გზაში სამმეტრიან ალიგატორს გადაეყარა.

ფოტოგრაფ კლაიდ ბატჩერის დიდი კვიპაროსების გალერეის ექსკურსიამძღოლი კონი რენდოლფი ადგილობრივ ნაკრძალში სასეირნოდ იყო გამოსული, როდესაც სამმეტრიან ალიგატორს გადააწყდა. ქალმა მრავალი წელი იმუშავა პარკში გიდად, ამიტომ კარგად იცნობდა რეპტილიას. გალერეის და ნაკრძალის მფლობელმა კლაიდ და ნიკი ბატჩერების წყვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ალიგატორს უკვე 23 წელია იცნობენ.

თუმცა რენდოლფმა აღიარა, რომ ასეთი შეხვედრები უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს, ამიტომ მან გადაწყვიტა, უზარმაზარი რეპტილია ვიდეოზე გადაეღო და შემდეგ სოციალურ ქსელში გამოექვეყნებინა. კადრებში ჩანს, რომ რეპტილია ნელა გამოდის ტყის სიღრმიდან და იქვე მდებარე ჭაობში წვება. ქალმა გადაწყვიტა უკან დაეხია და ხის უკან დამალულიყო, რათა მტაცებელს ის ვერ შეემჩნია.

– არ არის საჭირო გარეული ცხოველების პირად სივრცეში შეჭრა. შესანიშნავია, როდესაც ადამიანების სამყარო და ცხოველების სამყარო ისე თანაარსებობენ, რომ ერთმანეთს ზიანს არ აყენებენ, – დაწერა ფეისბუქზე საკუთარ გვერდზე რენდოლფმა.

ძაღლები კორონავირუსით დაავადებულებს ყნოსვით გამოავლენენ

დიდ ბრიტანეთში ძაღლებს ყნოსვით კორონავირუსის ინფექციის გამოვლენას ასწავლიან. ამ ინფორმაციას სააგენტო ფრანს-პრესი ავრცელებს.

საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ დარემის უნივერსიტეტის და ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის სპეციალისტები. ადრე ძაღლებმა, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციაში წვრთნიდნენ, ყნოსვით კიბოს, პარკინსონის დაავადების, მალარიის და ზოგიერთი ბაქტერიოლოგიური ინფექციის გამოვლენა ისწავლეს.

– პრინციპში, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ძაღლები შეძლებენ COVID-19-ს გამოვლენას, – განაცხადა საქველმოქმედო ორგანიზაციის დამფუძნებელმა კლერ გესტმა, – ამ დროისთვის ჩვენ ვცდილობთ მივაგნოთ ისეთ საშუალებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, უსაფრთხოდ მოვიპოვოთ ვირუსის სუნი პაციენტებისგან, რათა შემდეგ ის ძაღლებს წარვუდგინოთ. მიზანი ისაა, რომ ძაღლებმა შეძლონ შეამოწმონ ყველა, მათ შორის ისინიც, რომლებსაც სიმპტომები არ აღენიშნებათ და გამოავლინონ ის ადამიანები, რომლებისთვისაც ტესტის გაკეთება აუცილებელია.

კვლევის მონაწილეებს იმედი აქვთ, რომ დადებით შედეგს იმ დროისთვის მიაღწევენ, როდესაც ეპიდემია კლებისკენ წავა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

ინგლისი ჩემპიონატის დასრულებას ჩინეთში გეგმავს, იტალია — ადგილზე

მას შემდეგ, რაც უეფამ ბრძანება გასცა, რომ ყველა ჩემპიონატი უნდა დასრულდეს, ასოციაციებმა და ფედერაციამ გეგმის შემუშავება დაიწყეს.

ბრიტანული მედიის ცნობით, პრემიერლიგის ერთ-ერთმა კლუბმა წარმოადგინა ინიციატივა, რომლის მიხედვით, სეზონის დარჩენილი მატჩები ჩინეთში გაიმართოს – იქ, სადაც დაიწყო ეპიდემია, მაგრამ ბრძოლა წარმატებით დასრულდა და პანდემიასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აღარ არსებობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერლიგის 20 გუნდი ვიდეოკონფერენციას გამართავს. ამ იდეას მომხრეები ჰყავს, მაგრამ ზოგიერთი კლუბის მმართველი ფიქრობს, რომ ეს გიჟური იდეაა, დროის უაზროდ ხარჯვაა და ჩემპიონატი უნდა განახლდეს მაშინ, როცა ადამიანები ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებიან.

ცხადია, კლუბების წარმომადგენლები ეკონომიკურ ფაქტორზეც ფიქრობენ. თუ პრემიერლიგის სეზონი არ დასრულდება, სატელევიზიო გაყიდვებიდან კლუბების საერთო დანაკარგი 762 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება, რაც უდავოდ შთამბეჭდავი თანხაა.

სადღეისოდ, ფაქტობრივად, მთელი პლანეტა პარალიზებულია და დიდი ეკონომიკური კრიზისის მოლოდინშია. კრიზისის ნაწილი, შესაძლოა, ინგლისური კლუბებიც გახდნენ, მით უმეტეს, იმ ვითარებაში, თუ სეზონის დასრულება ვერ მოხერხდება. ამ ეტაპზე, დადასტურებული ინფორმაციით, პრემიერლიგა, მინიმუმ, 30 აპრილამდე არ განახლდება.

კრიზისის შესაძლო ნიშნები უკვე გამოიკვეთა. მაგალითად, ბარნლის მფლობელ მაიკ გარლიკის თქმით, კლუბი, შესაძლოა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

მაიკ გარლიკი:

– აბსოლუტურად უპრეცედენტო სიტუაციაა, რომელშიც ჩვენ და პრემიერლიგის სხვა კლუბები ისტორიაში პირველად აღმოვჩნდით და რამდენიმე თვის წინ ამას ვერც კი წარმოვიდგენდით. ვფიქრობ, საუბარი არა მხოლოდ ბარნლიზეა, არამედ – მთელ საფეხბურთო სისტემაზე. თუკი ჩვენ სეზონის დასრულებას ვერ მოვახერხებთ და შემდეგი სეზონის თაობაზეც გაურკვევლობა იქნება, აგვისტოში, უბრალოდ, ფული გაგვითავდება, ეს, ფაქტია. არ ვიცი, სხვა კლუბებში რა ხდება, თუმცა, დიდი იმედი გვაქვს, რომ თუკი შედარებით უსაფრთხო დრო დადგება, ფეხბურთის თამაშს განვაგრძობთ.

ცალკე თემაა, რომ პრემიერლიგაში მოასპარეზე გუნდების კაპიტნები კლუბების ხელმძღვანელობისგან ხელფასის შემცირებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიღებას ითხოვენ. კაპიტნებს, მწვრთნელებსა და კლუბების წარმომადგენლებს შორის ვიდეოკონფერენცია გაიმართა, რომელმაც ვითარება გაართულა.

როგორც ირკვევა, კაპიტნები მომავალს სკეპტიკურად უყურებენ. ისინი დამსაქმებელთა მოტივებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ და თვლიან, რომ გუნდები შექმნილ მდგომარეობას ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე უარის სათქმელად იყენებენ.

კაპიტნები კლუბების მესვეურებთან მოლაპარაკებების გამართვასა და რამდენიმე დეტალის დაზუსტებას აპირებენ. მათ აინტერესებთ, რატომაა ანაზღაურების შემცირება აუცილებელი და ასევე სურთ, მიიღონ გარანტიები, რომ მათ მიერ გაღებული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება. ამასთან ერთად, ფეხბურთელებს სურთ, რომ კლუბებში დასაქმებულ ადამიანებს ხელფასებთან და სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნათ.

ირკვევა ისიც, რომ ვიდეოკონფერენციისას შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა და კლუბებს ვითარების გარკვევა თავად მოუწევთ. ბრიტანული ტაბლოიდის თანახმად, ფეხბურთელები უკან დახევას არ აპირებენ და მაქსიმუმს გააკეთებენ, რათა კლუბებმა მათი მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გაბრიელე გრავინამ დაადასტურა, რომ სერია ა აუცილებლად დასრულდება და მისი ბედი ყველა შემთხვევაში მინდორზე გადაწყდება.

შესაბამისად, გამორიცხულია როგორც ფლეი ოფის ფორმატით ჩემპიონის გადაწყვეტა, ასევე ჩემპიონატის ნაადრევად დასრულება და ცხრილის არსებული შედეგების მიღება.

გრავინამ ისიც აღნიშნა, რომ წინასწარი გეგმის თანახმად, ჩემპიონატი მაისის ბოლოდან უნდა განახლდეს, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, არ გამორიცხა აგვისტოში ან თუნდაც სექტემბერში თამაში.

ჩემპიონატის უთამაშებლად დასრულების შემთხვევაში, კლუბების ზარალი მხოლოდ სატელევიზიო ტრანსლაციებიდან 700 მილიონ ევროზე მეტია. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. კლუბებს აქვთ ვალდებულება, რომ სეზონი დაასრულონ.

გარდა ამისა, არსებობს სხვა ფაქტორიც. ევროპის ქვეყნებში კორონავირუსის გავრცელება ყველაზე ადრე იტალიაში დაიწყო და ბოლო დღეებია, როგორც დაღუპულთა, ასევე ინფიცირებულთა რაოდენობა იკლებს. შესაბამისად, იტალია ევროპულ ქვეყნებს შორის პიკს ყველაზე ადრე გადააგორებს. აქედან გამომდინარე, მოლოდინი არსებობს, რომ ზაფხულისთვის კლუბები თამაშის განახლებას, თუნდაც უმაყურებლოდ, შეძლებენ.

ექსპერტებმა მამუკელაშვილისა და ბეჟანიშვილის შანსები შეაფასეს

ამერიკულ ნცაა ლიგაში 2 ქართველი კალათბურთელი თამაშობს – სანდრო მამუკელაშვილი და გიორგი ბეჟანიშვილი. მათგან საქართველოს ნაკრებში მხოლოდ სანდროს აქვს ნათამაშევი, ბეჟანიშვილს კი ავსტრიის მოქალაქეობა აქვს, თუმცა მის „გაქართველებაზეც“ საუბრობენ.

გასული სეზონი ორივეს კარგი ჰქონდა, მიმდინარეში კი მამუკელაშვილმა უფრო მოუმატა. ორივე მათგანს ნბა-ში თამაშის სურვილი აქვს და დრაფტზე დადგომა სურს. ერთია, ამერიკული მედია მათ შანსებს სხვადასხვაგვარად აფასებს.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, სეტონ ჰოლის ფორვარდი სანდრო მამუკელაშვილი ნბა-ს დრაფტზე აპირებს დადგომას და ამას აგენტის გარეშე გააკეთებს.

ქართველი ფორვარდი იუნიორი კალათბურთელის სტატუსით სარგებლობს და მომავალ სეზონში კვლავ სეტონ ჰოლში თამაში და გუნდის ლიდერობა შეუძლია, რადგან ამ სეზონის უმთავრესი ფიგურა და ლიდერი მაილს პაუელიც დრაფტზე დადგომას აპირებს. ამიტომაც 211 სანტიმეტრი სიმაღლის მამუკელაშვილი გუნდის ერთპიროვნული ლიდერი უნდა გახდეს.

თუმცა მისმა კარგმა თამაშმა ნბა-ს რამდენიმე გუნდი უკვე დააინტერესა. მოკლედ, სანდრო არაფერს კარგავს, თუ წლეულს რომელიმე კლუბი დრაფტზე არ აიყვანს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასეც იქნება.

ბეჟანიშვილის შეფასებისას უფრო მეტად კრიტიკა ჭარბობს...

გიორგიმ ამერიკული კარიერა ძალიან შთამბეჭდავად დაიწყო და პირველივე სეზონში საშუალოდ 12.5 ქულას, 5.2 მოხსნასა და 0.8 დაფარებას აგროვებდა. მატჩში საშუალოდ 6.3-ჯერ ესროდა და სიზუსტის 54%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა. მთელ რიგ შეხვედრებში ბეჟანიშვილი ილინოისელთა საუკეთესო კალათბურთელად გვევლინებოდა და გუნდის ქომაგების ერთ-ერთ საყვარელ მოთამაშედაც იქცა.

ექსპერტების ვარაუდით, 2019-20 წლების სეზონში გიორგის საშუალო მაჩვენებლები 10.4 ქულა, 4.6 მოხსნა და 0.5 დაფარება უნდა ყოფილიყო. ფიქრობდნენ, რომ მისი შეტევის სიზუსტეც მოიმატებდა და დაახლოებით 57%-მდე ავიდოდა. წინა სეზონთან შედარებით, მოკრძალებულ სტატისტიკას იმ მიზეზით პროგნოზირებდნენ, რომ გუნდში გამოჩნდა კოფი კოკბერნი, რომელმაც ქართველს ფარქვეშ სამოქმედო არეალი შეუზღუდა.

ბეჟანიშვილის სტატისტიკამ შესამჩნევად იკლო – საშუალო მონაგარი 6.8 ქულა, 4.8 მოხსნა და 0.4 დაფარება გახდა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლოდინი ვერ გაამართლა. მართალია, მატჩის განმავლობაში საშუალოდ ისევ 6.3-ჯერ უტევდა, თუმცა – მხოლოდ 42%-იანი სიზუსტით.

ეს ხსენებული კოკბერნის ფაქტორითაც იყო განპირობებული, რომელმაც ეფექტური თამაშით გაცილებით მეტი ყურადღება მიიპყრო. შედეგად, ბეჟანიშვილი შეტევაში უფრო არადამაჯერებელი გახდა და ხშირად დაცვაშიც იკარგებოდა. გასაკვირი არ ყოფილა, რომ მან ნელ-ნელა დაკარგა ადგილი სასტარტო ხუთეულში და ის ანდრეს ფელიზს გადაულოცა.

გიორგისთვის 2020-21 წლების სეზონი ნცაა-ში მე-3, და შესაბამისად, გადამწყვეტი იქნება. ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ის კვლავაც მოახერხებს მობილიზებას და ილინოისისთვის პოზიტიურ როლს შეასრულებს.

რაც შეეხება ბეჟანიშვილის პროფესიულ კარიერას, ექსპერტების აზრით, ძნელი წარმოსადგენია ნბა-ში. სამაგიეროდ, კარგი შანსი ექნება, თავი საერთაშორისო არენაზე წარმოაჩინოს.

ოლიმპიური ლიცენზიები მომავალი წლის 29 ივნისამდე გათამაშდება

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მა კომიტეტმა ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ერთი წლით გადაავადეს.

30 მარტს სოკ-მა, ტოკიოსა და იაპონიის მთავრობებმა 32-ე ოლიმპიური თამაშების ახალი თარიღები შეათანხმეს. ერთი წლით გადავადებული ტოკიოს თამაშები გაიმართება 2021 წლის 23 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით.

გარდა ამისა, სოკი და ტოკიო 2020-ის საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტის გადასინჯვას აპირებენ. ერთი მხრივ, იგეგმება ხარჯების შემცირება რამდენიმე მიმართულებით, რათა შემსუბუქდეს თამაშების გადავადებით გამოწვეული ფინანსური ტვირთი, მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ოლიმპიადის გადავადების გამო გარდაუვალია მთლიანი ხარჯების მოცულობის ზრდა.

კრისტოფ დუბი, სოკ-ის აღმასრულებელი დირექტორი:

– საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ადასტურებს, რომ დამატებითი ხარჯები უნდა გაინაწილონ სოკ-მა და საორგანიზაციო კომიტეტმა. ბიუჯეტის ათასობით მუხლი გადაისინჯება. სოკ-ის სამუშაო ჯგუფი ამ საკითხთან დაკავშირებით თავის წინადადებებს მალე წარადგენს.

შარშან დეკემბერში გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი იყო 12,6 მილიარდი დოლარის დახარჯვა. ახალი ვითარების გათვალისწინებით, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის დამატებით საჭირო გახდება დაახლოებით 2,7 მილიარდი დოლარი. სწორედ ამიტომ აპირებენ ფინანსური ხარჯთაღრიცხვის გადახედვას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ქიმიური ინდიკატორი; 3. თეორიული მექანიკის ნაწილი; 4. სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგეთში; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი, მორალური, ადამიანური ღირებულება; 9. არჩეული წარმომადგენელი; 12. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 16. მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

თარაზულად: 6. უქნარა, უსაქმური ადამიანი; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 11. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 14. ძველი გერმანული ტომი; 15. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. საჭმელი სოკო; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. ფრანგი მწერალი, მეიგავე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქანთრი; 2. იმიჯი; 3. „რიცი“; 5. ფიშერი; 6. ხრამი; 7. ნიქოზია; 11. რაპირა; 13. „ჩხავერი“; 14. სიდრი; 15. კუპდარი; 16. მაჯონგი; 17. კაბუკი; 19. ეთიკა; 20. მუდო.

თარაზულად: 1. ქეიბური; 4. გრაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თეჯირი; 12. გომბორი; 14. სვია; 15. „კავკასია“; 16. „მედეა“; 18. ბოდბე; 21. ბერიო; 22. გრადუსი; 23. კოკაინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იმპორტი; 2. სურდინა; 3. ბიურგერი; 4. დელისი; 5. ჰარპუნი; 8. პარსეკი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. თავთუხი; 16. ჭყონდიდი; 17. ფერმერი; 19. „იბერია“; 20. ბეკონი.

თარაზულად: 6. ამაშუკელი; 7. „ძელშავი“; 8. პურადი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ფლამენკო; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ჰეიგი; 23. ალგეთი; 24. შიომღვიმე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1576	ევრო — 3.4134
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8782	100 რუსული რუბლი — 4.1072

ამინდის პროგნოზი 7 აპრილისთვის

ქეთი მელუამ და ლიზა ბათიაშვილმა დუეტი ჩაწერეს

მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა ხელოვანებმა, მომღერალმა ქეთი მელუამ და მევიოლინე ლიზა ბათიაშვილმა, დუეტი ჩაწერეს. მათი ერთობლივი ნამუშევარი ქეთის საავტორო სიმღერაა.

დისტანციური დიალოგი მუსიკით №2 – ასეთია დუეტის სახელწოდება, რომელიც მიუნხენში მყოფმა ლიზამ და ლონდონში მყოფმა ქეთიმ შეასრულეს. პირველი დისტანციური დიალოგი მუსიკით მევიოლინემ ნიკოლოზ რაჭველთან გამართა.

ლიზა ბათიაშვილის ალბომი დოიჩე გრამაფონმა გამოსცა და მისი პრეზენტაცია ზაფხულშია დაგეგმილი, მანამდე კი მევიოლინე საკუთარი ალბომიდან მსმენელს რამდენიმე კომპოზიციას უზიარებს.

ლიზა ბათიაშვილი:

– უჩვეულო დრო, უპასუხოდ დარჩენილი კითხვები... გიზიარებთ მუსიკას, ჩვენს ფიქრებსა და იმედს.

ორი ნიჭიერი ქართველი ხელოვანის ნამუშევარი ინტერნეტში გავრცელდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. დუეტს მუსიკალურ აკომპანემენტს ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი უწევენ, ვიდეოს ავტორი კი რეჟისორი თეონა ჯორბენაძეა.

ტოტო კუტუნიომ ქართველების ნამღერი მოიწონა

ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა ტოტო კუტუნიომ ქართველების მიერ შესრულებული მისი ერთ-ერთი ჰიტი „იტალიანო“ მოიწონა და ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელშიც გაავრცელა.

ქართველმა ინტერნეტმომხმარებლებმა ვიდეო კორონავირუსისგან დაზარალებული იტალიელების სოლიდარობის ნიშნად ჩაწერეს და ინტერნეტში გაავრცელეს. ტოტო კუტუნიომ სოლიდარობის ეს ჟესტი მოიწონა და ქართველებს მადლობა გადაუხადა:

– ეს ვიდეო არის საქართველოდან, სადაც ჩემი სიმღერა „იტალიანო“ ძალიან პოპულარულია და კორონავირუსთან ბრძოლის საერთაშორისო ჰიმნად, იმედისა და ერთიანობის სიმბოლოდ იქცა.

ასტროპროგნოზი

7 აპრილისთვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღებლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანკალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, გველები, როგორ ლაპარაკობენ.

მამამ ცოლს და სიდედრს გახედა და ეუბნება:

– რას გაჩუმებულხართ, ვერ ხედავთ, ბავშვს აინტერესებს.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, საით გაგიწევია?

– დოღზე.

– მაშინ იჩქარე, თორემ შენმა ცხენმა უკვე ორჯერ დაგირეკა.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, მაღაზიაში მივდივარ და რაიმე გემრიელი წამოგიღო?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, მხოლოდ გზაზე ფრთხილად იარე, თორემ ქუჩა მოყინულია და არ გაგიტყდეს!

●●●

ფსიქიატრიულში ექიმი კროსვორდს ავსებს:

– ასე... შემდეგი კითხვა: კუნძული, სადაც ნაპოლეონი დაიბადა...

შემდეგ პაციენტს მიუბრუნდა და ეკითხება:

– მომისმინე, შეშლილო, სად დაიბადე?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარი: „ტრავმების გამო თავდაჯერებულობა დავკარგე“

პსჟ-ს ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა განაცხადა, რომ ბოლო წლებში მიღებული ტრავმების გამო თავდაჯერებულობა დაკარგა და ტრავმის შიშიც გაუჩნდა.

ნეიმარის თქმით, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის თავდაჯერებულობა აუცილებელია, რომ მოედანზე თავისი შესაძლებლობები ბოლომდე აჩვენოს:

– როდესაც საკუთარ თავში ბოლომდე დარწმუნებული არ ხარ, რთულია, შენი შესაძლებლობები გამოავლინო და ბოლო წლებში ბევრი ბრძოლა დამჭირდა თავდაჯერებულობის დასაბრუნებლად. ეს ყველაფერი ტრავმების ბრალი იყო.

იურგენ კლოპი: „მეცნიერები ვირუსს აუცილებლად დაამარცხებენ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია, კორონავირუსი დამარცხდება და მეცნიერები ამას შეძლებენ.

კლოპის აზრით, უბრალოდ, საჭიროა დრო და მოთმინება:

– დარწმუნებული ვარ, მალე ეს კოშმარი დასრულდება და ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდებით. ამის დიდი იმედი მაქვს და ვიცი, მეცნიერები ყველაფერს აკეთებენ, რომ ასე მოხდეს. მანამდე კი ყველას სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.



გვარდიოლას დედა კორონავირუსით გარდაიცვალა

მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელის ხოსეპ გვარდიოლას დედა, დოლორესი, 82 წლის ასაკში ბარსელონაში გარდაიცვალა. ის კორონავირუსს ემსხვერპლა.

მანჩესტერ სიტიმ გვარდიოლას დედის გარდაცვალება ოფიციალურად დაადასტურა. რამდენიმე კვირით ადრე გვარდიოლამ კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ბარსელონის ერთ-ერთ ფონდში მილიონი ევრო ჩარიცხა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ყოფილი დეპუტატი რატი სამყურაშვილი გარდაიცვალა

მწერალ ეკატერინე ტოგონიძეს მეუღლე, რატი სამყურაშვილი, გარდაეცვალა. 16 მარტს შემოქმედი იუბილარი იყო და ყველას სთხოვა, ბევრი რატი მისურვეთო. ყოფილი პარლამენტარი და პოლიტიკოსი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მწერალმა თავად გავრცელა:

– უშენოდ არაფერი ყოფილა და არც არაფერი იქნება. პირველ პირში ფიქრს დიდი ხანია, გადავეჩვიე. ჩემი ყველა ფიქრი მეორე პირშია და ერთადერთი ადამიანისკენაა მიმართული. ეს არის ყოველწამიერი და უწყვეტი ფიქრი, როგორც არსებობა, როგორც სუნთქვა, სუნთქვა იმ ერთადერთისთვის, რომლის გვერდზე დგომაც იყო პატივი, რადგან ის არის ყველაზე სუფთა, კეთილი სული, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ, იმაზე დიდი და ღირსეული, ვიდრე ადამიანს შეუძლია, დაიტიოს.

ვერც ხალხის, ვერც ცრემლის რაოდენობა ვერ გამოხატავს, ვერ დაეწევა, ვერ ამოავსებს უძირო ორმოს გულში. ზუსტად ვიცი, რამდენს გამოგეცალათ საყრდენი და როგორი შეუცვლელია ის უშრეტი სიყვარული, რომელსაც რატი წლებთან ერთად სულ უფრო მეტად გასცემდა. ამას აკეთებდა ყველასგან გამორჩეულად, რატისებურად. ასე რომ, მოსვლის გარეშე შეგიძლიათ, უპასუხოთ სიყვარულით, გაუფრთხილდეთ საკუთარ თავს და ერთმანეთს.

ისედაც ვიცი, ყველაფერი ვიცი...

შეხვედრამდე, ჩემო ერთადერთო. მადლობა, რომ მე ამირჩიე.

შეხვედრამდე.

სერიალი „შუა ქალაქში“ ტელეეკრანს უბრუნდება

„ღამის შოუ სტუდიის“ გახმაურებული სერიალი „შუა ქალაქში“ ტელეეკრანს უბრუნდება.

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ყოველ საღამოს მაყურებელს კვლავ შეეძლება, ირაკლის, დები ღლონტების, სანდროს, ანანოს, მარიკას, დათოს, ვახუნხულას, ლაშიკოსა და სხვა ცნობილი გმირების სახალისო ისტორიებს უყუროს.

სერიალი 6 წლის განმავლობაში გადიოდა „იმედის“ ეთერში და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ამერიკული ზებგერითი სამხედრო-საფაზვერვო თვითმფრინავების სერია; 2. ლუდის დასაყენებელი ჭურჭელი ფშავ-ხევსურეთში; 3. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 7. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 11. შენიშვნა-განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 13. ნახევარკუნძული ევროპაში; 14. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური პოლონეთში; 16. ძველი ეპოქის, შორეული წარსულის ნივთი, ორგანიზმი, გადმონაშთი; 17. ზღვის ცხოველი; 19. ცირკის მოედანი; 20. ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაცია.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. დაბალი ხის მაგიდა; 8. მჭიდროდ ნაქსოვი შალის ქსოვილი; 9. დამრიგებელი, სულიერი მოძღვარი ინდოეთში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის წყლის ყვავილოვანი მცენარე; 12. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 14. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 15. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 16. სილვესტერ სტალონეს კინოპერსონაჟი; 18. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 23. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა